ოქტომბერი
1931 წ.
№ 70

საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
OCTOBRE
1931—№ 70

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მეფაური—უდიდესი ხიფათი.
საქართველოს საკითხი.
რ. ინკილო—ვატიკანის ოფიც. და ჩვენი საკითხი.
ს. ფიარწალაკა—ქართველ მშობლებს.
ბაქი—მოსკოვი წინეთ და ეხლა.
გრიგოლაშვილი—საალბმიცემო პერსპექტივები.
საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა.
უცხოეთის მიმოხილვა.
საქართველოდან იტყობინებიან.
ქართველები გერმანიაში და სხ.

უდიდესი ხიფათი

ჩვენს გაზეთში უკვე მოთავსდა შემაძრწუნებელი ცნობები, თვით მტრის წყაროებიდან, თუ როგორ გამიშვლდა საოკუპაციო ხელისუფლება. კახეთში, საქართველოს ამ ბაღნარში, დღეს უკვე აოხრებულში, ქართველ მუშებს, გლეხებს სამუშაოდან ერეკებიან! წარმოებაში რუსები ჩამდგარან სათავეში და «სოციალიზმის» სახელით ეუბნებიან მათ: ქართველები უვარგისნი ხართ მუშაობისთვის, გაგვეცალენით, მაგიერ ჩავაყენებთ რუსებს, გადამთიელთ და ავაშენებთ ქვეყანას უქართველებოთო. საქართველო უქართველებოთ—გესმით თუ არა, მკითხველო, ამ სიტყვების ნამდვილი აზრი და წონა?

მაგრამ არის მეორე კუთხე—ბორჩალო, საქართველოს გაუტეხელი ზურგი საუკუნეთა გასწვრივ: თქვენ იცით, ის შეადგენდა ტრადიციულათ ამირსპასალარის ანუ სამხედრო მინისტრის სამოურაოს,—რა ხდება იქ, ბორჩალოში? ესეც წაკითხული გაქვთ გასულ ნომერში, სიტყვას არ გავაგრძელებთ. ასეულნი დახვრიტეს, მეორე ასეულნი აყარეს მთელის ოჯახით და ცივ რუსეთში გადაასახლეს სამუდამოთ, ესე იგი მათ ადგილზედ ჩაასახლეს... სომხის ლტოლვილნი.

მსგავსი ამბები ხდება მეზობელ ქვეყანაში, აზერბეიჯანში, სადაც დიდი ხანია ყრიან გლეხებს და მათ ადგილზედ ასახლებენ რუსებს, რომელთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს.

ეხლა ამას თუ დაუმატებთ, რომ გასულ ზაფხულს პარიზს ეწვია სომხეთის საბჭოთა «მთავრობის» თავმჯდომარე გაბრილიანცი, რომლის მისსია სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მეტი სომეხი ლტოლვილი მიეზიდა იმავე კავკასიაში, სურათი საკმაოთ დამთავრებული იქნება. მით უფრო, სომხის პოლიტიკური ემიგრაცია, როგორც გაზეთები გვამცნევს, დადებითათ შეხვდა გაბრილიანცის მისსიას. მართალია, ისინი ამბობენ ლტოლვილნი «ერევნის» რესპუბლიკაში მიჰყავთო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ უმეტესი მათ შორის «გზად» საქართველოში ჩარჩება.

როგორც ხედავთ, ეს მოვლენა არა მარტო საქართველოს, მთელი კავკასიის მასტაბისაა, და ექნება, როგორც წარსულში, თავისი დამღუპველი შედეგები. თანამედროვე ბარბაროსები—ბოლშევიკები ხელს ავლებენ იმავე მოშხამულ იარაღს, რასაც სარგებლობდა ცარიზმი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტემპში და უსასტიკეს საშუალებებში შორს სტოვებენ თავის წინამორბედს.

არაერთხელ დაუსვამთ კრემლში კითხვა, რა უყოთ კავკასიას, როგორ ჩავახრჩოთ იქ მოძრაობა, აჯანყებებიო, მაგრამ სხვა პასუხი ვერ უპოვიათ, გარდა გაძლიერებულ მხეცურ რეპრესიებისა. და ამათ შორის ზევით ნაჩვენები ქლეტა-გადასახლებანი და დაცალიერებულ სოფლებში უცხო ელემენტების ჩასახლება—ეს ის ზომაა, რომლის მსგავსი შაჰაბაზის დროიდან არ განუცდია საქართველოს.

ცარიზმის დროს, მე-19 საუკუნეში, როგორც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგად კავკასიის თუ რუს-ოსმალოს ომებისა, თითქმის ნახევარი მოსახლეობა მაჰმადიანურ კავკასიისა იძულებული გახდა გახიზნულიყო ოსმალეთში, და მათ ადგილას ჩაასახლეს კაზაკები, სომხები, რუსები. ყველასათვის ცნობილია, როგორის მონდომებით და წინასწარ შემუშავებული გეგმით ანხორციელებდა რუსის ბიუროკრატია, მაგ., საქართველოს აჭრელებას ეროვნულათ. გაიხსენეთ ჯავახეთი, არტაანი, აბხაზეთი და სხ., როგორ დაწდა, ამ პოლიტიკის მეოხებით, სისხლიდან. თვით დედა-ქალაქიც ხომ არ დაინდვეს.

მიზანი ამ ზომებისა, გარდა ერთა სხეულის დაუძლურებისა, მათი ერთმანეთზე გადამტერება და თავის ბატონობის გაადვილება იყო. საშინელი ნაყოფი ჩვენ უკვე ვიგემეთ პირველ და მეორე რევოლუციის დროს, როცა განსაკუთრებით თათრები და სომხები დაერივნენ ერთმანეთს. ვის შეუძლია უარყოს, რომ იგივე პოლიტიკა ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია კავკასიის რესპუბლიკათა დამხობისა?

კავკასიის ერები კი ცდილობენ დამხობილ რესპუბლიკების აღდგენას, ამისათვის იბრძვიან, ჯანყობენ. ამ ბრძოლაში იჭედება სწორეთ მათი სოლიდარობა, დაძმობილება და ახლო მომავალში ერთ ჭერქვეშ თავის მოყრა კონფედერაციის სახით. შარშანდელი და წრევანდელი გამოსვლები იმდენათ ცხად ჰყოფს ამას, რომ მტერი იძულებულია საჯაროთ აღიაროს იგი.

აქედან ნათელია მისი სასოწარკვეთილი ცდა გათიშოს მებრძოლი რიგები, გადაჰკიდოს ერთი ერი მეორეს, დაშალოს მათი მთლიანი ფრონტი და მით ხელიდან არ გაუშვას მორალურათ მისთვის ისედაც დაკარგული კავკასია. ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მტერი არ დაერიდება ამისათვის არავითარ საშუალებას, რაც უნდა სათაკილო და ჯოჯოხეთური არ იყოს იგი.

კავკასიის ერები სდგანან უდიდეს ხიფათის წინ, საჭიროა ხელმძღვანელებმა დროზე მიაქციონ მას ყურადღება, სანამ გვიან არაა. როცა მტერი მოდის ჩვენზე ასეთი გაუგონარი იერიშით, ჩვენი წმინდა მოვალეობაა თავი დავიცვათ როგორ და რანაირათ?

ამ კითხვაზე პასუხი ადვილი არაა. ცხადზე უცხადესია, მტერი იხვევს ხელზე ჩვენი ერების, განსაკუთრებით გლეხების აჯანყებებს კავკასიის სხვა და სხვა კუთხეში და ამით ამართლებს თავის რეპრესიებს. შეგვიძლია თუ არა, მაშასადამე, ვუთხრათ ხალხს ხელი აიღოს მოძრაობაზე, აჯანყებაზე?

ჩვენ მოვისმინეთ ერთი იქიდან ჩამოსული ბორჩალელი. ჩვენი ორგანიზაციები, ამბობდა ის, ცდილობენ, წელებზედ ფეხს იდგმენ, რომ შეაჩერონ გლეხები გამოსვლებისგან, მაგრამ უკანასკნელნი უპასუხებენ: რას ვკარგავთ, ქონება არაა ჩვენთვის, არც ოჯახი, ბარემ თავს შევაკლავთო!

დიახ, ეს ასეა. მოდი და უქადაგე გამწარებულს, გახელებულს დამშვიდება, მოთმინება, რა გამოვა? ეს იმას ნიშნავს, ვერ წარმოიდგინო მისი გამოუვალი მდგომარეობა, ვერ ეზიარო მის ვარამს. მაგრამ... მაგრამ ჩვენ მაინც ორგანიზაციებს ვემხრობით, ვინაწილებთ მათ ტაქტიკას, პოლიტიკას ამ საბედისწერო მომენტში. არა ერთხელ გამოგვითქვამს ეს აქ. კავკასიის ერებს მართებთ დიდი სიფრთხილე, ძალების დაზოგვა. მათ უფლებაც არა აქვთ თავი სასაკლაოზედ დასდონ, ხომ იციან, ვისთან აქვთ საქმე, მტერი არ დაერიდება წამოიძახოს მსგავსათ რომის იმპერატორ კალიგულასი: რატომ ერთი თავი არ აბიათ, ერთი დაკვრით გავაგდებინოვო.

მივმართავთ ჩვენს ერს, სახელმწიფოებრივ ქართველ ერს. განა მისმა სიბრძნემ არ შექმნა ანდაზა: როცა დათვი მოგერიოს, ბაბა დაუძახეო? დიახ, მტერი მოგვერია, დაგვჩაგრა, გვაწამებს... მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვალდებული ვართ დავზოგოთ ჩვენივე თავი, არ მივცეთ მას საშუალება, სულიც ამოგვართვას, ლეშად გვაქციოს. აი, რაა სადღეისო ამოცანა.

ზევით ვახსენეთ ხელმძღვანელნი შინ და აქ. მათი აზრი უკვე ვისმინეთ შინიდან. რას ფიქრობენ აქაურები? ჩვენ ვიცით, ისინი ეწევიან კამპანიას მტრის რეპრესიების წინააღმდეგ პრესაში, ოფიციალურ წრეებში. ეს კამპანია უნდა გაძლიერდეს ერთი ორად, ერთი ათად.

მეორეს მხრით, აქვე არიან მეზობლების წარმომადგენელნი, ჩვენებმა მათთაც უნდა მოსთხოვონ იმავე კამპანიის წარმოება. განსაკუთრებით სომხის ხელმძღვანელთ უნდა მიუთითონ აქეთკენ: სწორეთ მათ უნდა გადაისროლონ ლოზუნგი: შორს მეზობლების ტერიტორიის დასახლება ჩვენი ძმებით!

მტერი გვიმზადებს უდიდეს ხიფათს. უნდა გადაგვკიდოს ერთმანეთს სწორეთ იმ დროს, როცა თვითონ კატასტროფის წინა სდგას. ვისაც ჰგონია, ევროპა-ამერიკის კრიზისი უვნებლათ დასტოვებს საბჭოებს, ღრმათ ცდება. მოსკოვი დღეს თუ ხვალ ახალი ვალების მორატორიუმს გამოაცხადებს. გაკოტრდება. რა უნდა მოჰყვეს ამას, ლაპარაკიც ზედმეტია.

მაშასადამე, მოთმინება, ძალების დაზოგვა ლიტონი სიტყვა არაა, მას აქვს აზრი და მნიშვნელობა ჩვენი განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის. საჭიროა გავიხსენოთ, ეროვნული განთავისუფლება არც ისე მარტივი საქმეა. მას ვერ დაუდებთ ზღვარს, ვერც ვადას. ფორმებიც ეროვნულ ბრძოლისა სხვადასხვაა, დღეს, ერთი გამოგადგება, ხვალ მეორე, საჭიროა დროის და აგილის შერჩევა.

ქართველ ერს ეს გახსენება არ ეჭვრება, მას უბრძვია საუკუნოები მედგრათ, მაგრამ ხერხიანათ, მოქნილათ, ამის წყალობით მოიტანა მან თავის თავი დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საკითხი

უკანასკნელ გაზაფხულზე ჩვენმა წარმომადგენელმა ჟენევაში მიმართა შვეიცარიის ასოციაციას მიეღო თავის თავზე და წამოეყენებია საქართველოს საკითხი ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა (ასოციაციების) ინტერნაციონალურ კავშირის ყრილობაზე. ამ მიმართვას ხსენებული ასოციაციის ბიურო დიდის თანაგრძნობით შეხვდა, მაგრამ შეუძლებლად სცნო ამ საქმის შესრულება საზოგადო კრების ნებადაურთველად. გადადგმულ იქნა სათანადო ნაბიჯები და მაისის 16-17 შემდგარმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით შვეიცარიის ასოციაციას დაევალა საქართველოს საკითხის აღძრა იმავე მაისში ბუდაპეშტში განზრახულ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის ყრილობაზე. სამწუხაროთ უკანასკნელის პროგრამა უკვე შედგენილი იყო და მისი შევსება ახალი საკითხით არ შეიძლებოდა. იგივე ჩვენი წარმომადგენელი ხ. შავიშვილი, რომელიც დაესწრო ბუდაპეშტის ყრილობას, შეეცადა ნიადაგის მომზადებას მომავლისთვის და შვეიცარიის დელეგატთან ერთად შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი საქართველოს შესახებ. ამ თვის დამდეგს პერუზაში (იტალია) შესდგა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის საბჭოს კრება, რომელსაც შვეიცარიის წარმომადგენელმა წარუდგინა რეზოლუცია. საბჭომ სავსებით მიიღო ეს რეზოლუცია და დაადგინა მისი წარდგენა მომავალ საერთო ყრილობაზე.

მოგვყავს რეზოლიუცია: «ერთა ლიგის ასოციაციების საერთაშორისო კავშირის საზოგადო კრებაზე 1921 წ. ივნისის 5 მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოსსასარგებლოთ, რომელიც დაკავებულია საბჭოთა ჯარების მიერ, წინაამდეგ საქართველოს და მოსკოვის მთავრობათ შორის დადებულ ხელშეკრულებისა. ეს რეზოლიუცია მოითხოვდა ერთა ლიგისაგან საქართველოს საკითხის დასმას მისი თავისუფლების აღდგენის მიზნით.

მეთექვსმეტე საერთო კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ერთა ლიგას ორჯერ ჰქონდა მსჯელობა ამ საკითხის გამო (1922 და 1924 წ.წ.) და მიიღო დადგენილებანი, რომლებიც ავალებენ ლიგის საბჭოს, რათა თვალყური ადევნოს ამბებს და შესაფერ გარემოებაში დაეხმაროს საქართველოს ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისათვის. კრება იმედს გამოსთქვამს, რომ ერთა ლიგის დავალებას საბჭო კეთილად დააგვირგვინებს».

ჩვენმა წარმომადგენელმა ხ. შავიშვილმა ჟენევიდან შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის გენერალურ მდივანს პერუზაში:

«გარემოებამ ხელი შემიშალა დავსწრებოდი საბჭოს კრებას. ვუგზავნი საბჭოს მხურვალე მადლობას იმ კეთილშობილურ რეზოლუციისათვის, რომელიც მიიღო მან უცხოელ მტარვალებისაგან დაჩაგრულ ქართველ ერის სასარგებლოთ. ვმადლობ განსაკუთრებით შვეიცარიის ასოციაციას რაინდულ ინიციატივისათვის. ეს რეზოლუცია მით უფრო გამამხნევებელია, რომ დღეს საქართველოში კვლავ სისხლი იღვრება. დამსჯელი ჯარები გაუგონარ სიმხეცეს სჩადიან ბორჩალოსა და ყარაიაზში: ასობით დახვრიტეს სრულიად უდანაშაულონი ბავშვები და მოხუცები, მშვიდობიანი მცხოვრებნი სატუსაღოებში ჩაყარეს».

ვატიკანის ოფიციალი და ჩვენი საკითხი

ბოლშევიკების ახალმა გამოლაშქრებამ მებრძოლ საქართველოს წინაამდეგ უკვე გამოიწვია გამოხმაურება, როგორც საფრანგეთში, ასევე ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც. ჩვენდამი მეგობრულათ განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფები და ჟურნალ-გაზეთები არა მალავენ თავის აღშფოთებას მოსკოვის ახალი ფანდების გამო.

თავისი სიმპატია შეუდრეკელ ერთმუჭა ქართველობას გამოუცხადა აგრეთვე ვატიკანის ოფიციალმა გაზეთმა «L' Osservatore Romano»-მ. მან დასტამბა ცალკე წერილი: «საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უნიონი და საქართველო». ეს წერილი აღნიშნული გაზეთის 11 ენკენისთვის ნომერში იყო მოთავსებული მეორე მეთაურად. ამ აქტის დიდი მნიშვნელობა გასაგები უნდა იყოს, თუ მივიღებთ მხედველობაში მთელს ქვეყანაში გავრცელებულ ხსენებულ გაზეთის რეპუტაციასა და გავლენას.

«საფრანგეთმა—სწერს გაზეთი—იცნო ბოლშევიკური მთავრობა, როგორც ვიცით, ბატონ ჰერრიოს სამინისტროს დროს 1924 წელში. საფრანგეთის მთავრობა მიუხედავათ ამისა არ აჰყვა სხვა სახელმწიფოების მაგალითს, რომელთაც უკვე ადრევე იცნეს ს. ს. რ. უნიონი de iure-თ თვინიერ ყოველგვარი შენიშვნისა.

ჰერრიოს მთავრობის მიერ დადებულ პირობათა შორის იყო აგრეთვე ისიც, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა საქართველოს ოკუპაციას წითელი ჯარის მიერ სთვლის უკანონო აქტად, რამაც დაარღვია ამ ქვეყნის საერთაშორისოთაც ცნობილი პოლიტიკური სუვერენიტეტი. ამისა გამო საფრანგეთის მიერ საბჭოთა სეხელმწიფოს ცნობა არავითარ შემთხვევაში არა ვრცელდება საქართველოზე. იმ დროს ბოლშევიკების მდგომარეობა ისეთი არ იყო, რომ ისინი ჯიუტათ გამოჰდავებოდენ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც მათთან ხელშეკრულებებსა სდებდენ, ამიტომ ისინი იძულებულნი იქმნენ საფრანგეთის შენიშვნა მიეღოთ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარდგენილი არის საფრანგეთში თავისი კანონიერი მთავრობითა, რომელმაც თავშესაფარი ჰპოვა საფრანგეთში მას შემდგომ, როცა საქართველო დაპყრობილ იქმნა წითელი მოსკოვის მიერ 1921 წელს. საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი ბატონი ჩხენკელი ამჟამამდის ირიცხება საფრანგეთის მთავრობასთან მყოფ დიპლომატიურ კორპუსის სიაში.

კომუნისტები იძულებულნი გახდენ დაეთმოთ ფრანგებისათვის, მაგრამ ეს მათ ხელს არ უმლიდათ საქართველოს საელჩოს წინააღმდეგ ეინტრიგათ; ისინი ყოველგვარ ზომებს მიჰმართავდენ იმ მიზნით, რომ საქართველოს ნაციონალ მთავრობისათვის სახელი გაეტეხათ ფრანგების წინაშე; ამის გარდა ბოლშევიკები თვით ქართველებში ეწეოდენ გამჭრწნელ პროპაგანდას და ამისათვის არ ერიდებოდნენ არავითარ ხარჯებს; ზოგერთი ფრანგული გაზეთის საშვალებით (განსაკუთრებით «Humanité») კომუნისტები ლამობდენ დაემტკიცებინათ, რომ საქართველო სრულიადაც არ არის დაპყრობილი, არამედ თვითონ მოიწვია რუსების წითელი ჯარი, და აი სწორეთ ამიტომ საქართველოს წარმომადგენლობის არსებობას არა აქვს არავითარი რეზონი, ყველა ამ სირეგვნისა და სისულელის გაბათილება არ წარმოადგენდა სიძნელეს და ამას მისდევდნენ იმდენად ქართველები კი არა, რამდენადაც თვითონ ფრანგები, რომლებიც პირუთვნელად ერკვევიან საბჭოთა საკითხებში. ბოლშევიკების ჭორი არაერთხელ განუბნევია როგორც წერით, ასევე სპეციალ მოხსენებებით საფრანგეთის ყოფილ ელჩს საქართველოში ბ. შევალიეს.

ამის და მიუხედავათ ბოლშევიკების ყოფილი ელჩი საფრანგეთში კრასინი (ეხლა მკვდარი) განუწყვეტლივ იმის ცდაში იყო, რომ გაეუქმებინებინა ქართველი წარმომადგენლობა. კრასინის ხსოვნის წერილში მოსკოვური გაზეთი «იზვესტია» სწერდა თავის დროზე, რომ მისი სიკვდილი დააჩქარა იმ გარემოებამაც, რომ მან ვერ შესძლო მოესპო ეს ანტისოვეტური ცენტრი, მუშურ—გლეხური ხელისუფლების სახელის გამტეხი.

თავისი «კლიაუზნიკური» განძრახვები როცა ვერ გაუნაღდდათ, ბოლშევიკები გადავიდნენ მათთვის უფრო სანუკვარ საშუალებებზე, რომლებსაც ისინი უფრო ამჯობინებენ მოწინააღმდეგეთან ბრძოლაში, როგორც—მოსყიდვა, ტეროორი, და ებრვე სხვა ჩეკისტური ოინები. წარსული წლის მიწურულში ბოლშევიკების ტეროორის მსხვერპლი გახდა პარიზში საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი, ერთი უაქტივესი ანტიბოლშევიკური მოღვაწეთაგანი, რომელსაც საქართველოში დამსახურებული ჰქონდა საერთო პატივისცემა. ბოლშევიკების მიერ აღნიშნული ქართველი მინისტრის მოკვლის გამო ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა (სულ ორიოდეს გამოკლებით) ვალათ მიითვალეს, გამოეცხადებინათ საქართველოს წარმომადგენლობისათვის საფრანგეთში თავისი სამძიმარი.

დროთა სვლაში, როცა ბოლშევიკებს მათ საერთაშორისო მუშაობაში მთელი რიგი პარადოქსალური მიზეზებისა გამო, ბედი უფრო ულიმოდათ, ისინი იმ ზომამდე გათავხედდენ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში შეტევაზედაც გადავიდნენ და ხელი მიჰყვეს სასაცილო და უგუნურ მოთხოვნილებათა წარდგენას.

ასეთად უნდა მითვლილიყოს ამ წერილში აღნიშნული მესამე ინტერნაციონალის მოსკოვის აგენტების ხელახალი მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობის სახელზე წარდგენილი. რომ 1) საქართველოს მთავრობა გაძევებულ იქნეს საფრანგეთიდან და 2) საქართველოს საელჩო ამოშლილ იქნეს დიპლომატიურ კორპუსის სიიდან.

მაგრამ ნათ საქმეში ჯერ ფორტუნა არა სწყალობს»,—ასე ათავებს წერილს ხსენებული გაზეთი.

რ. ინკილინ.

ქართველ მშობლებს

ბევრი ჭირი და შევიწროვებაა ქართველ ემიგრაციაში—თუ ქონებრივი, თუ მორალური, სულიერი, პოლიტიკურიც. სამშობლოდან გარდმოხვეწილთა შორის ზოგნი ცოტაოდნად შეეგუენ სინამდვილეს, ასეთუისე მოეწყვნენ ეკონომიურად, მაგრამ მრავალი ისევ გარიყულია, მტკიცედ ფეხი ვერსად მოუკიდია, მკვიდრი ლუკმა პური ვერ მოუპოვებია, დღეს აქაა, ხვალ იქ. ხოლო ყველას მძიმედ აწევს უცხოეთში ყოფნა, სამშობლოს მოწყვეტა და იქ დარჩენილ ახლობლებთან ურთიერთობის გაძნელება. დალხინებული ამ მხრივ არავინაა და სულ მცირე გამონაკლისის გარდა, ყველას ფიქრი და გონება საქართველოსკენაა მიქცეული და სიმწარით, თუმცა ღრმა რწმენით და იმედით, მოელის იმ ბედნიერი დღის გათენებას, როცა ეღირსებათ განთავისუფლებულ საქართველოში თავისუფლად ამოსუნთქვა...

როდის მოხდება ეს? ვინაა ამის გამომცნობი! გონიერება მოითხოვს უარესის გათვალისწინებას, ე. ი. იმას, რომ ჩვენი გაჭირვებული ემიგრანტული არსებობა ხვალ არ დასრულდება, არამედ შესაძლებელია, მისი გახანგრძლივება და უნდა ვეცადოთ ამის მოლოდინში და ამის მიხედვით მოვაწყოთ აქაური ცხოვრება. რომ ბოლშევიზმი დაემხობა და საქართველო კვლავ აღსდგება, ეს უდავო დებულებაა. ეს აუცილებელია, გარდაუვალია, ამის შეჩერება არავის და არაფერს ძალუძს. საქართველოს ისტორია არ დასრულებულა, მისი ბედნიერების მზე არ ჩასვენებულა. პირიქით, ჩვენი სამშობლოს სრული აყვავების და გაშლის ხანა წინაა, წინ მოგველიან დიდების წლები. ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ ეს, რაიც სრულებით არაა სუბიექტური წადილის ნაყოფი, არამედ არის დასკვნა ობიექტური ფაქტების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დავივიწყოთ ეს, რაც უნდა მოწამლული იყოს საქართველოს აწინდელი ვითარება.

და აი სწორედ ამის არდავიწყება, მუდამ გახსენება გვავალებს, ჩვენს ემიგრანტულ მდგომარეობასაც სათანადოთ მივუდგეთ. არავითარ მხრით არ უნდა წარმოვიდგინოთ თავი «გასაქცევად». არ გვარგებს, ისე ვიფიქროთ, რომ ჩვენი ემიგრანტობა წამიერია, დღესაა, ხვალ აღარ იქნება და ამიტომაც არაფერზე არ უნდა ვიფიქროთ, არაფრისთვის უნდა ვიზრუნოთ, არა გავაკეთოთ რა. ნუ გავყვებით იმ აზრს, რომ დღეს გასაკეთებელი არა გვაქვს რა, გასაკეთებელი ხვალ გაკეთდება. ემიგრანტობის წარმავალობის იმედით, ნუ ავიღებთ ხელს ნურც ჩვენს ფიზიკურ საჭიროებაზე და ნურც სულიერზე. ღრმად შევიგნოთ, რომ დრო არ იცდის და რაც დღეს არ გაკეთდება, ხვალ უკვე აღარ გამოსწორდება. ამ ემიგრანტობაში ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი გაგრძელდება და ყოველი ჩვენი საქმე ისე უნდა მოვაწყოთ და გავაკეთოთ, თითქოს არსად მივდიოდეთ, აქ ვრჩებოდეთ. დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ამით საქართველოს საკითხს ოდნავად არ ვავნებთ და მის გადაჭრას საეჭვოდ არ გავხდით.

პირიქით, რამდენად მტკიცე რწმენა გვექნება ჩვენი განთავისუფლების ურყეველობის და მისი მოახლოვების, მით უფრო მეტის ხაოისით უნდა ვეცადოთ, რომ აწინდელი მდგომარეობა სავსებით გამოვიყენოთ ჩვენი უკეთესი მომავალისათვის. ამ მომავალისათვის სწორედ რაც შეიძლება უკეთესად უნდა შევინახოთ ჩვენი თავი ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც, და არა თუ შევინახოთ, არამედ რამდენად გარემოება ნებას მოგვცემს, განვავითაროთ, გავაუმჯობესოთ, რომ აღდგენილ და განახლებულ სამშობლოს მეტის უნარითა და ცოდნით ვემსახუროთ, ვიდრე ეს შეგვეძლო წინად...

ყოველივე ეს ბევრს რასმე გვავალებს ქართველ ემიგრანტებს და უნდა ითქვას სამწუხაროთ, რომ დღესაც ამ უკვე მეთერთმეტე წელზე დიდი სიფხიზლე და წინდახედულობა ვერ გამოვიჩინეთ. დღესაც დღეს-ხვალიობით ვცხოვრობთ და ჩვენი მდგომარეობა მეტად უსიამოვნო სურათს წარმოადგენს თავის ზერელობით და სიმჩატით, ფუქსავატობით, დაუდევრობით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართველ ემიგრანტების ბავშვების ბედი, რომლებიც სრული გადაგვარების გზაზე იმყოფებიან. არა სჩანს არავითარი პატრონობა, არავითარი მზრუნველობა მათვის. ისინი იზრდებიან, ასაკდებიან უცხო სკოლაში, უცხო საზოგადოებაში, უცხო ბუნებაში, იმსჭვალებიან უცხო ზნეჩვეულობით, ეთვისებიან უცხო ფსიქიკას და შეგნებას. მათ არ იციან ქართული ენა, დები და ძმები ერთმანეთში უცხო ენაზე ლაპარაკობენ, ქართულს გაურბიან, გაურბიან ქართველ ტოლამხანაგებსაც და ამჯობინებენ უცხოთა წრეში თამაშს და გართობას. წარმოდგენა არა აქვთ საქართველოზე, მის ისტორიაზე, მის ცხოვრებაზე. შეხვდებით ისეთ ქართველ ბავშვებსაც, რომლებიც უკვე ირონიულად იხსენიებენ საქართველოს და ქართული ენა მიაჩნიათ ჩამორჩენილობის და უკულტურობის ენად. შეიძლება გამოჩნდეს ისეთიც, რომელიც ბედნიერებად სთვლის ქართველობის სრულ დავიწყებას...

ამ საშინელს და ტრაღიკულ მდგომარეობას ჩვენი მშობლები ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ. თავის დღეს-ხვალიობით და გამქცევის პოლიტიკით (ზევით რომ მოვიხსენიეთ) ისინი ხელს უწყობენ თავის ნორჩი შვილების გადაგვარებას. ბევრი არ კმაყოფილდება იმას, რომ ბავშვები გარეთ უცხო ენაზე ლაპარაკობენ და საკუთარ სახლშიაც არა ქართულად ესაუბრებიან. ზოგი თავს იმით იმართლებს, რომ საშუალება არა გვაქვსო, ზოგი საქმეს იმით იადვილებს, რომ ბავშვები წამოიზრდებიან და მერე ისწავლიან ქართულსო. ძნელია ამაზე მეტი სიბეცის წარმოდგენა! ჩვენი მშობლების საქციელი პირდაპირ შეუწყნარებელია; შეუძლებელია მათი გამართლება; მათი მოქმედება პირდაპირ კრიმინალური დანაშაულია! ბევრი ჩვენი დღევანდელი დაუდევრობის გამოსწორება შეიძლება; ბევრი რამ, რასაც დღეს აქ არ ვაკეთებთ, შეიძლება მერე გამოკეთდეს. ხოლო ქართველი ემიგრანტული მოზარდ თავობის მერმე გამოკეთება არასოდეს მოხერხდება. ფიზიკური სიმახინჯე გამოსასწორებელია, მაგრამ სულიერად, მორალურად დამახინჯებული ბავში არასოდეს გამომთელდება! და თუ ადამიანის დამახინჯება არავის ეპატიება, მით უფრო არ ეპატიება მის მშობლებს.

ქართველო მშობლებო, ნუ ასახიჩრებთ თქვენს შვილებს, დროზე იფიქრეთ მათვის! იფიქრეთ, ვის ჩაუყვანთ სამშობლოს მომავალ მოქალაქეებად!

ს. ფირცხალავა.

მოსკოვი წინეთ და ეხლა

X'.

დასკვნა ასეთია: ის განსაკუთრებითი ელემენტები, რომლებიც ახასიათებენ რუს. რევოლიუციას და ანსხვავებენ მას დასავლეთის რევოლიუციებისაგან, წარმოადგენენ რუსეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების თანდაყოლილ თვისებებს. რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოება ისეთ განსაკუთრებულ პირობებში წარმოიშვა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სახელმწიფოს აპარატის და მთავრობის ზედმეტ გაძლიერებას ერთის მხრით და წოდებისა და კლასების სისუსტესა და საზოგადოებრივი ცხოვრების სიღარიბეს—მეორეს მხრით. რასაკვირველია მთავრობა და სახელმწიფო აპარატი სხვა ერების ისტორიაშიც დიდ როლს თამაშობდა, ერთგვარი ძალმომრეობის გამომხატველი იყო. მაგრამ დასავლეთში მათ ვერ შესძლეს საზოგადოებრივი მაჯის ცემის მოსპობა, როგორც ამას რუსეთში ქონდა ადგილი.

რუსეთში ამ ნიადაგზე წარმოიშვა შეხედულება, რომ მთავრობა ყველაფრის შემძლეა, ხოლო ხალხი მისი ბრძანების უბრალო აღმასრულებელი. ამავე

ნიადაგზე აღმოცენდა «კრიტიკულათ მოაზროვნე პიროვნების თეორია», რომლის მიხედვითაც, გმირები ქმნიან ისტორიას, «ბრბო» კი ისტორიის უბრალო მასალაა. მანვე მოგვცა ლენინის «პროფესიონალური რევოლიუციონერების თეორიაც», რომლებიც რევოლიუციას აწყობენ და ხელმძღვანელობენ. რუსის ხალხმა ყველა ეს «ფილოსოფია» უბრალოთ ასე გამოხატა—ბატონი მოვა და ბატონი გაგვასამართლებსო.

პეტრე დიდი, «სამოუჩკა» ეკონომისტი პოსოშკოვი, ნიკოლოზ I, სპერანსკი, ბაკუნინი, ნეჩაევი, მიხაილოვსკი და ლენინი, მიუხედავათ მათი მსოფლმხედველობის სხვადასხვაობისა, რუსის ხალხს ერთნაირათ უდგებოდენ და აფასებდენ. ყველას მიაქვს «ამ უბედურ დღეზე გაჩენილ» რუსის ხალხთან თავისი გეგმა, ახთენს მის ზურგზე გამოცდებს და მოითხოვს მისგან შეთვისებასა და განხორციელებას. და როცა მათი გეგმა ობიექტური მიზეზების გამო ცხოვრებაში არ ხორციელდება, გაბოროტებული ავტორები, მთელ თავის გულისწყრომას რეპრესიების სახით ხალხს ატეხენ თავზე.

ამ მხრით მონარქისტი და ბოლშევიკი რუსის ხალხს ერთნაირად აფასებს. მათი შეხედულებით მისგან უნდა აშენდეს ისეთი სახელმწიფო, როგორიც მათ მიაჩნიათ სასურველათ და არა ისეთი, როგორიც რუსის ხალხის შესაძლებლობას შეეფერება. დაწყებული პეტრე დიდით და გათავებული სტალინით რუსის ერს ამოცანათ უსახავენ—«დაეწიოს და გაუსწროს ევროპას». მონარქისტიც და ბოლშევიკიც ფიქრობს, რომ იგი ამ ამოცანას შეასრულებიებს ხალხს ზევიდან ტერორით, რეპრესიებით და ბიუროკრატიის საშვალებით. ვერც მოსკოვური სახელმწიფო, ვერც პეტერბურგული და ვერც საბჭოური ამ შეხედულებას ვერ გაშორდა. ეს არის ერთი უკიდურესობა.

ამავე ნიადაგზე აღმოცენებულ მეორე უკიდურესობას წარმოადგენს ლ. ტოლსტოის ფილოსოფია—«ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას» და «გაგლეხდი, გაუბრალოვდი». ლ. ტოლსტოის არ სწამს «გმირების ისტორია», მის თვალში არამც თუ ნიკოლოზ I და არაკჩეევი, არამედ ნაპალეონიც კი ისტორიულ მოვლენათა შემთხვევითი აღმასრულებელი პირია. ამიტომ მისთვის «დიდი პირების»გეგმები მხოლოდ სიბრიყვეა და მეტი არაფერი, ხოლო ამ გეგმების განსახორციელებლათ მიღებული რეზოლიუციები, კიდევ მეტ უგუნურებას წარმოადგენენ.

ლ. ტოლსტოი ხედავს, რომ რუსის გლეხს არ ძალუძს მასზე წარმოებულ ძალმომრეობას დაუპირდაპიროს შეკავშირებული ძალა და დაამარცხოს. ამიტომ იგი ბოროტების დამარცხებას მორჩილებითა და მრთმინებით ფიქრობს. ტოლსტოისათვის ცხადია, აგრეთვე რომ რუსის გლეხი ევროპას ვერ დაეწევა და მით უმეტეს ვერ გაუსწრებს. ამიტომ ევროპის კულტურას იგი უარყოფს და ხსნას «გაგლეხებაში» ხედავს. მაშინ, როცა მთელი კულტურული კაცობრიობა ცხოვრებას იუმჯობესებს, იმოსება და ბუნების სიმდიდრეთა გამოყენებაში გიგანტურ ნაბიჯს სდგამს წინ, ტოლსტოი ამ დროს კაცობრიობას ურჩევს—დაგლახდით და ტანს გაიძვრეთო.

აი ასეთი დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის სინამდვილემ გენიალურ მწერალზე. ტოლსტოის ფილოსოფია, ეს რუსეთის გლეხის, ე. ი. რუსის ერის 90 პროც. ეკონომური და პოლიტიკური სიბეჩავის გამოხატულებაა.

რუსეთის ისტორიის გზაშარაზე მუდამ იდგა ორი ერთიმეორის დიამეტრალური მოწინააღმდეგე. ერთი მხრით ივანე მრისხანე, პეტრე დიდი, სპერანსკი, არაკჩეევი, ნეჩაევი, ბაკუნინი, ლენინი და სტალინი და მეორე მხრით—ტოლსტოი და რუსის მასსა. მათი შეხვედრა ყოველთვის იწვევდა საშინელ სოციალურ—პოლიტიკურ ტკივილებს. დღემდის გამარჯვებული აქედან ყოველთვის პირველები გამოდიოდენ, ვინაიდან მათ ზურგს უმაგრებდენ «უმკურული» და «უხარული» ელემენტები, ანუ კლიუჩევსკის ენით, რომ ვთქვათ, «მუნდირში გადაცმული ანარქისტები».

რასაკვირველია, რუსეთის ისტორიაში მასსების ფართო მოძრაობასაც ქონდა ადგილი, მაგრამ, როგორც სამართლიანათ აღნიშნავს ჩიჩერინი, ეს მასსები როგორც მალე ჩდებოდენ საზოგადო ასპარეზზე, ისე მალე ქრებოდენ იქიდან და საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელობას მთავრობას უტოვებდენ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყოველივე ეს იყო მონარქისტული რეჟიმის შედეგი და იგი მათ თან ჩაიტანდა საფლავში. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ თვით ეს რეჟიმი იყო ერთგვარ კულტურულ—ეკონომიურ—სოციალურ მოვლენათა შედეგი. როგორც სჩანს, ეს კვანძი რუსეთის რევოლიუციამ ჯერ-ჯერობით ბოლშევიკური ხმლით ვერ გასჩეხა, ვფიქრობ, რომ იგი კიდევ უფრო დახლართა. თ. მასარიკი ამბობს: «რუსები, ისე როგორც ბოლშევიკები, არიან ცარიზმის ბავშვები; საუკუნოებით მათ ზრდიდენ და ამუშავებდენ ასეთათ. მათ შესძლეს მეფისაგან განთავისუფლება, მაგრამ მეფობისაგან თავის დახწევა ვერ მოახერხეს.

ბოლშევიკებს და რუსებს საერთოთ დღესაც მეფური ფორმა აქვთ. მიუხედავათ იმისა, რომ მას პირუკუღმა ატარებენ; შემთხვევით კი არ არის, რომ რუსს საერთოთ ჩექმის პირუკუღმა გადაბრუნებაც ენერხებაო».

ამ რიგათ ნვენ ვხედავთ, რომ ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ პეტრე დიდმა დაუსვა რუსეთს, ეხლაც გადაუჭრელია. გაევროპიელება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არ მოხერხდა, რევოლიუციის მთავარ მიზანს ეს შეადგენდა. მას უნდა გაეწმინდა რუსეთისათვის გზა ევროპისაკენ. ამის მაგიერ მივიღეთ მოსკოვისაკენ უკან დახევა.

ზოგიერთები დამნაშავეთ ამაში ბოლშევიკებს თვლიან. რომ ლიუდენდორფის შტაბს ლენინი არ გამოეშვა რუსეთში, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არ მომხდარიყო, ამბობენ ისინი, ყველაფერი კარგათ იქნებოდაო. ეს ზერელე მსჯელობა არის. საკმარისია ცოტათი ობიექტურათ განიხილო რევოლუციის პირველი ხანის მოვლენები, რათა დარწმუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, რომ რუსეთში ოქტომბერი ისეთეე აუცილებელი იყო, როგორც თებერვალი.

რასაკვირველია თებერვლის რევოლიუცია, თუ შეიძლება ასე ითქვას «ევროპიული» იყო. იგი მიზნითაც და მეთოდითაც ევროპას უახლოვდებოდა. მისი მთავარი სუბიექტი იყო რუსეთის საზოგადოების სწორეთ ის ნაწილი, რომელმაც ასე თუ ისე ევროპის კულტურა შეითვისა. თებერვლის რევოლიუციაში მუშათა კლასს, გლეხობას, ბურჟუაზიას და ინტელიგენციას, ხელმძღვანელობდენ ის ელემენტები, რომლებიც რუსეთის გაევროპიელებას ისახავდენ და რევოლიუციის მიმართვაც ამ გზით სურდათ.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციის უბედურება იმაშია, რომ «გაევროპიელებული» ნაწილი რუსეთის ერის 4-5 პროცენტს არ აღემატება, ხალხის ფართო მასები ამ კულტურის გარეთ დარჩენ. თებერვლის რევოლუცია რუსეთის საზოგადოების მარტო ზედა პირს შეეხო. ეს იყო რევოლუციის პირველი ნაბიჯი. ოქტომბრის რევოლუციამ საზოგადოების ქვედა ფენები მოიყვანა მოძრაობაში და საზოგადოებას «გაევროპიელებული» ქერქი მოაცილა. ეს იყო რევოლუციის მეორე ნაბიჯი.

რუსეთის ხალხის ქვედა ფენებს არ შეუძლიათ ევროპიული რევოლუციის მოცემა არც თავისი მიზნით და არც მეთოდით. ეს რუსეთის ისტორიასა და ამ მასების ბუნებას ეწინააღმდეგება. თვით «ზაპადნიკი» და მარქსისტი ლენინი ბოლოს და ბოლოს ამ მასების გავლენის ქვეშ დადგა და «ზიელი» გახდა. მემკვიდრეც მისი «ზიელი» სტალინი აღმოჩნდა. ეს რუსეთის რევოლუციის განვითარების ლოღიკა არის.

ამ ლოღიკამ რუსეთის რევოლუცია მიიყვანა მოსკოვურ სახელმწიფოს სისტემამდის, ეს რევოლუციის მესამე ნაბიჯია. ამას შედეგათ მოყვა იმ კლასების საზოგადო ასპარეზიდან წასვლა და «მოხსნა», რომლებიც რევოლუციის პირველ ხანებში რუსეთს დაეპატრონენ. ამ შემთხვევაშიაც განმეორდა ის, რასაც საერთოდ რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში ყოველთვის ქონდა ადგილი. აღდგენილი იქნა მოსკოვური საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ცხადია რუსეთმა ამას თავი უნდა დააღწიოს, თუ უნდა მას იარსებოს, როგორც კულტურულმა და სახელმწიფოებრივმა პიროვნებამ. მაგრამ როგორ და რა გზით, აი კითხვა, რომელიც თავსამტვრევ საკითხად არის გამხდარი ყველასთვის.

კონსერვატორი პ. სტრუვე ამ ჩიხიდან რუსეთის გამოყვანას ფიქრობს ხალხის მასების ისევ მოძრაობაში მოყვნით. მათი «აშვებით». პ. სტრუვეს იმედი აქვს, რომ, როცა ეგი თავის მიზანს მიაღწევს და ბოლშევიკებს თავიდან მოიშორებს, მერმე ამ მასებს ისევ «დაბამს».

სოციალისტ მემარცხენე ფ. დანს ამ მასების «აშვების» ეშინია. იგი პესიმისტურათ უყურებს მას და ფიქრობს, რომ რუსის ხალხის ქვედა ფენების ამოძრავება კარგს არას უქადის რუსეთს. დანის პესიმიზმს რამდენიმეთ იზიარებენ რუსის დანარჩენი სოციალისტები და დემოკრატებიც. ეს პესიმიზმი საფუძველს მოკლებული არ არის. მაგრამ მოგეხსენებათ «შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა»-ო. ადრე თუ გვიან მასსების სტიქიური ამოძრავება მაინც მოხდება, ამიტომ უმჯობესია მას ორგანიზაციული ხასიათი მიეცეს.

ჩემის აზრით მარტო მასების დარაზმვა და ხელმძღვანელობა არ არის მთავარი. თუ რუსეთის ერს მომავალ მოძრაობაში არ დაუსახეს გადასაჭრელათ ისეთი ამოცანა, რომელიც მის ძალას შეეფერება, ისე იგი ამ მოჯადოებულ წრიდან, თავს ვერ დაახწევს. თუ მომავალი მოძრაობა დადგა დიდი რუსეთის პლათფორმაზე, როგორც ამას თებერვლის რევოლუციის დროს ქონდა ადგილი, ან უტოპიურზე, ე. ი. რაც რუსეთის ხალხის ეკონომიური და კულტურული განვითარების შესაძლებლობას აღემატება, როგორც ეს ოქტომბრის რევოლუციის დროს მოხდა, იგი მიზანს ვერ მიაღწევს. ვერც თავისუფლებას მოიპოვებს. ვერც გაევროპიელდება და სინამდვილეში ვერც ძლიერ იმპერიას შექმნის. განმეორდება ძველი ისტორია.

ამიტომ ვისაც რუსეთის ერისთვის მართლა კარგი სურს და ბოლშევიკებსავით არ არის შეპყრობილი «ბოდვური იდეებით», იგი უნდა განჭვირთოს ამა თუ იმ სახით ზედმეტი ჭვირთისგან, რომელიც პეტრე დიდმა და მისმა მემკვიდრეებმა და ეხლა კი ბოლშევიკებმა, შეცდომით მოახვიეს რუსის ერს თავზე. ეს სრულებით არ ნიშნავს რუსეთის დაკარგვას და დაღუპვას, როგორც ეს განაცხადა ა. კერეესკიმ 9 მაისს გაკეთებულ მოხსენებაზე და რომლის შესახებ სამართლიანი შენიშვნა გაუკეთა სტ. ივანოვიჩმა. ეს ნიშნავს მხოლოდ მეფის იმპერიის «დაღუპვას», რომელიც წარმოიშვა და განვითარდა ისეთ ნიადაგზე და ისეთ შეუსაბამო პირობებში, რომ უწინარეს ყოვლისა თვით რუსეთის ერისთვის გახდა უბედურებათ.

შეიძლება მე ვცდები, მაშინ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს რუსეთის მთელი ისტორიაც, მაგრამ მე მაინც გულწრფელათ ვფიქრობ, რომ რუსეთის ერი მხოლოდ ასეთი «განჭვირთვის» შემდეგ შესძლებს მთელი თავისი შემოქმედებითი ძალების ამუშავებას-დემოკრატიული წყობილების დამყარებას და ევროპისა და ამერიკის დაწევაც.

ამ ჟამად კი რუსეთში დემოკრატიისათვის, როგორც მატერიალური, ისე სულიერი პირობები სუსტია. და თუ რუსეთში კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა, იქ დაბრუნდება არა ევროპიული თვითმყრობელობა, როგორც ეს ზოგიერთს გონია, არამედ მოსკოვური ჩვენი დროის ივანე მრისხანე, ჩეკის სარდაფებში აღზრდილი ოპრიჩნიკებით.

კაჟი.

ჩეხია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საალეგ-მიცემოს პერსპექტივები

(ახმეტელის თეზისების გამო)

«დამოუკიდებელი საქართველო»-ს აგვისტოს თვის ნომერში მოთავსებული წერილი გერმანიაში საქართველოს წარმომადგენელის ბ-ნ ვლ. ახმეტელის მიერ («ჩვენი უპირველესი ამოცანა»), იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენს პირობებში. სასურველი იქნებოდა რასაკვირველია, რომ ბ-ნ ვლ. ახმეტელს საკითხის დასმასთან ერთად, მისი შეხედულებებიც მოეცა, მომავალ საქართველოს სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებაზე. მაგრამ ეს მაინც არ ვნებს იმ დიდ ინტერესს, რომელიც ამ საკითხის დასმით არის გამოწვეული.

ჩვენი ემიგრაცია იმყოფება მუშაობისათვის შედარებით თავისუფალ და ხელშეუხლებელ პირობებში და ამიტომ მას ევალება ამ მიზნისათვის ზრუნვა-ო, ამბობს ბ-ნი ახმეტელი.

ზემოთ მოხსენებულ წერილში ის გამოთქვამს სურვილს, რათა შესწავლილ და განსჯილ იქნას საქართველოს მეურნეობის ყოველი დარგი ცალცალკე როგორიც არიან: სასოფლო მეურნეობა, სამოქალაქო სამრეწველო დარგი, ვაჭრობა (როგორც საშინაო, ისე საგარეო) და სხვა და სხვა. ამ საკითხთა შორის დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს ვაჭრობა და კერძოდ საგარეო ვაჭრობა, რაზედაც ვბედავ შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესწავლისათვის და მისი მომავალი გეგმის ასაგებათ, უსათუოდ საჭირო არის მოკლე ანალიზი მაინც მეურნეობის იმ დარგთა, რომელნიც ხდებიან საგნებათ ამ საქმიანობისათვის. იშვიათია ისეთი პატარა ქვეყანა იმდენ სამეურნეო დოვლათით, როგორც საქართველო არის. ეს დოვლათი საქართველოში გვევლინება სულ სხვადასხვა ადგილას და რაც უფრო მნიშვნელოვანია, სულ სხვადასხვა სახით. ამიტომ საჭირო არის ცალცალკე შესწავლა იმ სამეურნეო დოვლათთა მაინც, რომელნიც არიან ბაზა საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის. ამ მხრივ ყველაზედ მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა საქართველოს მარგანეცი მისი მსოფლიო მნიშვნელობით და ულეველი მარაგით, რომელიც არის გადაშლილი 125 კვ. კილომეტრის სივრცეზედ. თავისი ღირსებით ეს მარგანეცი არის საუკეთესო შედარებით ყველასთან, რომელნიც მოიპოვებიან დედამიწის ზურგზედ. ამასთანავე არც ერთ ადგილას, სადაც ის მოიპოვება, არ არის ის იმ რაოდენობით როგორც საქართველოში, რომ შესძლოს მოთხოვნილების ერთბაშად დაკმაყოფილება. ამიტომ უჭირთ სხვა ქვეყნის მარგანეცებს საქართველოს მარგანეცთან კონკურენცია; სწორედ ამიტომ არის კაპიტალისტების გულისყური აქეთკენ მოქცეული ამ დოვლათის ხელში ჩასაგდებათ.

საქართველოს მარგანეცი შეადგენს ძალიან დიდ პროცენტს მარგანეცის მსოფლიო მოხმარებისას. ამ სურათს შემდეგი ცხრილი გვიხატავს:

ათას ფუთებში.

წლები	მსოფლიო მოხმარება	ექსპორტი საქარ-დან	პროც. საქარ. მარგ. მოხმარ.
1909	94.725	35.089	37.0
1910	122.036	39.636	32.5
1911	127.082	37.511	29.5
1912	148.012	55.834	37.7
1913	174.028	65.827	37.8

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს, დუ რამდენად დიდია საქართველოს მარგანეცის მონაწილეობა მის მსოფლიო მოხმარებაში. საშუალოდ ის უდრის 35.0 პროც. ამ მდგომარეობის უფრო ნათლად გასათვალისწინებლად შევადაროთ მისი ამოღება და ექსპორტი სხვა ქვეყნების მარგანეცის ამოღებას და ექსპორტს.

მარგანეცის ამოღება (ათას ფუთებში)

წლები	ინდოეთი	ბრაზილია	საქართველო
1909	39.846	14.928	36.506
1910	49.656	15.759	33.805
1911	41.711	10.784	28.635
1912	26.255	9.602	35.325
1913	41.808	10 137	59.188

საქართველოს მარგანეცს უკანასკნელ ხანებში გაუჩნდენ კიდევ ახალი კონკურენტები როგორიც არის ოქროს ნაპირი (აფრიკა) და ეგვიპტე. ესენი საკმაო ძლიერი კონკურენტები არიან და ამიტომ უსათუოდ გასათვალისწინებელია მათი მნიშვნელობა.

რაც შეეხება მარგანეცის საერთო ექსპორტში სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობას, ამას გამოხატავს შემდეგი ცხრილი:

მარგანეცის ექსპორტი (ათას ფუთებში)

წლები	ინდოეთი	ბრაზილია	საქართველო
1909	28.971	14.228	35.088
1910	36.414	15.759	39.636
1911	34.326	10.784	37.510
1912	38.553	9.602	55.834
1913	47.887	7.565	65.827

აქედან ვხედავთ, რომ მარგანეცის ამოღების საქმეში 1912 წლიდან საქართველომ დაიჭირა პირველი ადგილი; ხოლო მის ექსპორტში, ომის წინა ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ეჭირა მუდამ პირველი ადგილი. ის აკმაყოფილებდა თითქმის მთელ მსოფლიო მოხმარების ნახევარს. მისი ფასებიც ნაკლები იყო შედარებით სხვა ქვეყნების მარგანეცის ფასებთან, მიუხედავათ იმისა, რომ მისი წარმოება იყო ნაკლებათ მოწყობილი შედარებით სხვებთან. რაიმე გაუმჯობესება ამ მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებას შეიტანს მის სასარგებლოთ.

გარდა შავი ქვისა საქართველოს მოეპოვება კიდევ დიდი მარაგი აგრეთვე მნიშვნელოვანი დოვლათისა—ქვანახშირის ბუდობები ტყვიბულში, ტყვარჩელში და შედარებით ნაკლები რაოდენობის გელათში. ზემოთ ხსენებულ რაიონებში მისი მარაგი გამოიხატება დაახლოვებით შემდეგ ციფრებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიბულის 6 მილიარდი ფუთი
ტყვარჩელის 12,5 ,, ,,
გელათის 50 ,, ,,

ამ მხრივ სამრეწველო მნიშვნელობა მხოლოდ ტყვარჩელის და ტყვიბულის ქვანახშირს აქვს, რასაც ადასტურებს ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს ევროპის კაპიტალისტებმა განსაკუთრებით ტყვარჩელის ქვანახშირის მიმართ. ამ ჟამად ამუშავებენ მხოლოდ ტყვიბულის მაღაროებს. მისი ამოღების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი ციფრებით:

1909-1913 წლ.	საშუალოდ 3 5	მილ. ფუთი.
1913	4.4	,, ,,
1914	3.9	,, ,,
1915	4.5	,, ,,
1916	3.6	,, ,,
1917 წლის ცნობები არ არის.		
1918	3.4	მილ. ფუთი.
1919	2.2	,, ,,
1920	4.8	,, ,,
1921	4.6	,, ,,
1922	2.6	,, ,,

ტყვარჩელის ქვანახშირი უფრო უკეთეს პირობებშია, ვიდრე ტყვიბულის. მის ექსპლოატაციის შესახებ 1920 წელში არსებობდა მოლაპარაკება ევროპის სხვადასხვა ფირმებთან და მუშავდებოდა საკონცესიო ხელშეკრულება. კონცესიონერი უზრუნველყოფდა დადებულ ხელშეკრულებას, რაც ამტკიცებს მის სერიოზულ სამრეწველო მნიშვნელობას.

ქვანახშირი მოიპოვება აგრეთვე მცირე რაოდენობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს ტყე, რომელსაც უკავია დაახლოვებით ორ მილიონ ნახევარი დესიატინამდე სივრცე. ომის დაწყებამდე საქართველოდან გაჰქონდათ დაახლოვებით 742 ათასი ფუთი საალმშენებლო ტყის მასალა წელიწადში. მრავალი ტყის მასალა ისპობოდა და ისპობა დღესაც. საქართველოში მისი არარაციონალური წარმოების გამო. ამიტომ მას მომავალში სჭირდება მეტი დაცვა და ყურადღება. ის მისცემს საქართველოს დიდ შემოსავალს წესიერი ექსპლოატაციით და შესაფერისი ბაზრების აღმოჩენით.

ძალიან დიდი მნიშვნელობის არის აგრეთვე მეაბრეშუმეობა, რომელსაც საქართველოში დიდი ხანია ეწევიან. ეს საქმიანობა საქართველოში წარმოადგენს ოჯახის დამხმარე საქმეს. ის ადვილად შესათავსებელია გლეხის მეურნეობასთან, მის დაუზიანებლად. ამ საქმიანობაში იყენებენ განსაკუთრებით ქალების, მოხუცებულების და ბავშვების შრომას. ომამდე საქართველოში ნედლი პარკის მოსავალი 100-105 ათას ფუთამდე აღწევდა. ერთი მისი ნაწილი გაჰქონდათ განსაკუთრებით მარსელში და მილანში; დანარჩენი კი მიქონდათ მოსკოვში, როგორც საქართველოდან ისე ამიერ კავკასიის დანარჩენ კუთხეებიდანაც. როგორც ვთქვით, ომამდე საქართველოდან გაჰქონდათ დაახლოვებით 100 ათასი ფუთი ნედლი ანუ 32 ათასი ფუთი ხმელი პარკი, რაც შეადგენდა 1.600.000—1.900.000 მან. ოქროთი. აქედან გასაგებია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის საქართველოს აბრეშუმის პარკს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის შესწავლის დროს განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია თავისი დიდი მნიშვნელობით საქართველოს თამბაქო. როდესაც იხსენიებენ ამიერ კავკასიის თამბაქოს, ამაში იგულისხმება თითქმის მხოლოდ საქართველოს თამბაქო.

მისი მოსავალი საქართველოში უდრიდა:

წლები	მოსავალი ათას ფუთებში
1910	675,9
1911	615,8
1912	501,1
1913	555,4.
1914	800,6

ამიერ კავკასიის დანარჩენ ნაწილებში კი მოდიოდა:

წლები	მოსავალი ათას ფუთებში
1910	32,2
1911	22,5
1912	39.3
1913	33,1
1914	57,4

საქართველოს თამბაქოს ერთი ნაწილი გაჰქონდათ ძველად რუსეთში, ხოლო მეორე ნაწილი ეგვიპტეში, რომელიც აწვდიდა მსოფლიო ბაზარს ქართული თამბაქოს საუკეთესო ხარისხს. საქართველოს თამბაქოს მნიშვნელობა ძალიან დიდია. ის ადვილად უწევს კონკურენციას მსოფლიო ბაზარზედ გამოტანილ საბერძნეთის და ბულგარეთის საუკეთესო ხარისხის თამბაქოებს.

ზემოთხსენებული სამეურნეო დოვლათთა დახასიათება საკმარისი მასალა არის იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ, თუ როგორის ღირსებით შეუძლია აწარმოოს საქართველომ საგარეო ვაჭრობა. ამათ გარდა მოიპოვებიან საქართველოში მთელი რიგი სამეურნეო დოვლათებისა, რომლებსაც ასეთივე ღირსებით შეუძლიათ გახდენ საგარეო ვაჭრობის საგნებად. ზოგიერთი მათგანი უკვე გამოვიდა მსოფლიო ბაზარზედ. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც უხვად მოიპოვებიან საქართველოში—ესენი ხომ საგარეო ვაჭრობის საგნებია. საქართველოს მატყლი, ტყავის ნედლეული, სხვადასხვა მინერალური წყლები, სუბტროპიკული კულტურები (მანდარინი, ფორთოხალი, დაფნის ფოთოლი), ჩაი, ღვინო და სპირტის ნაწარმოები, ბაღ-ბოსტნის ნაწარმოები, ჯაგარი, შინამრეწველობის სხვადასხვა ნაწარმოები, მინერალები და სხვა და სხვა—ხომ ყველა საგარეო ვაჭრობის საგნებია. ამათი მოსავალი საქართველოში დიდათ აღემატება მის მოხმარებას და მათი საშუალებით საქართველოს შეუძლია დიდი სარგებლობის მოპოვება.

ეხლა მეტად საინტერესო ის არის, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი საქართველოს საგარეო ვაჭრობა. ქართველ ხალხზედ იძულებით მოხვეული ბოლშევიკური ხელისუფლება ადრე თუ გვიან, ნებით თუ უნებლიეთი უნდა გაჰქრეს და მისი ადგილი ქართველი ხალხისათვის სასურველმა ხელისუფლებამ უნდა დაიკავოს. დიახ ბოლშევიზმი გაჰქრება და მას

თან გაჰყვებიან მის მიერ შექმნილი ატრიბუტები, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო ცხოვრებაში. ამ დროს საქართველოს მეურნეობა ვერ ასცდება იმ კრიზისს, რომელსაც ეს ხელისუფლება დაუტოვებს. საქართველოს საგარეო ვაჭრობა როგორც ერთი ნაწილი მისი სამეურნეო საქმიანობისა, ჩავარდება ამავე კრიტიკულ მდგომარეობაში. სამაგიეროთ დარჩება თავისუფლება საგარეო ვაჭრობაში, რომელიც შექმნის ცალცალკე გაერთიანებებს საკაციო საზოგადოებების საფუძველზე და ეს დაეპატრონება საქართველოს საგარეო ვაჭრობას ერთის მხრით. მეორე მხრით კი საქართველოს შერჩება მის გასაბჭოებამდე შექმნილი საქართველოს კოოპერაცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ სახელმწიფოს ერთერთ აპარატათ აქცია. საქართველოს თავისუფალი კოოპერაციაც ჩაებმება ამ საქმიანობაში და გახდება ერთერთ აგენტად საქართველოს საგარეო ვაჭრობისა.

ამავე დროს საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის სისტემაში შეიძლება მოხდეს პატარა გადახრა სახელდობრ: ზოგიერთი დოვლათები მისი განსაკუთრებული ხასიათის გამო შეიძლება დროებით მაინც გახდეს სახელმწიფო მონოპოლიის საგნებათ ასეთები არიან: თამბაქო, სპირტი და სხვა.

ამგვარ მაგალითებს ჩვენ დღესაც მრავალს ვხედავთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, სადაც არსებობს თავისუფალი ვაჭრობის სისტემა.

ეროვლაშვილი.

საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა

სახელმწიფო წესწყობილების მხრივაც საქართველომ ამ ხანაში თვალსაჩინო იურიდული შემოქმედება გამოიჩინა. სამეფოს სათავეში თუმცა მეფე იდგა. მაგრამ მთავრობაც და მინისტრთა საბჭო და სახელმწიფო დარბაზიც არსებობდა, რომელნიც მეფის უფლების თანამოზიარენი იყვნენ ვითარცა მისი თანაგამზრახნი. მინისტრთა ყოველთ უპირველესს, რომელიც იმავე დროს მწიგნობართუხუცესი იყო და ჰყონდიდელ მთავარეპისკოპოსადაც ითვლებოდა, ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იმის დაუკითხავად საქართველოს მეფეს არაფრის გადაწყვეტა არ შეეძლო. მინისტრთა უპირველესი მთელ სახელმწიფოს საქმეში საზოგადო ხელმძღვანელი იყო. მას სახელმწიფო საკონტროლო დაწესებულება და სახელმწიფო მდივან სამწიგნობრო ემორჩილებოდა. როგორც მეფეს მის დაუკითხავად არც ერთი პასუხსაგები ნაბიჯი არ უნდა გადაედგა, ისევე მწიგნობართუხუცესს და ვაზირთა ყოველთა უპირველესს რთულ საკითხებში მეფის დასტური უნდა მიეღო.

საქართველოს სახელმწიფოში 4 ვაზირი იყო თავდაპირველად: მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი, ამირსპასალარი ანუ სამხედრო მინისტრი, ფინანსთა მინისტრი ანუ მეჭურჭლეთ უხუცესი და მანდატურთ უხუცესი (ობერ ცერემონიმაისტერი) და სასახლის მინისტრი. შემდეგ კიდევ ერთი მინისტრი იყო შეყვანილი თამარ მეფის მიერ მინისტრთა საბჭოში და მეცამეტე საუკუნის შუაგულში მეექვსე მინისტრიც მიემატა. მინისტრთა საბჭოს გარდა საქართველოში სახელმწიფო დარბაზი არსებობდა, რომლის წევრებადაც იყვნენ ყველა მინისტრები, ერისთავთ ერისთავები, ტფილისის ამირთა-ამირი, კათალიკოსი, ეპისკოპოსები, დასასრულ დიდ გვარეულობის და დიდვაჭრების წარმომადგენელნიც.

მეთორმეტე საუკუნეში ქართველმა ერმა თავისი ყოფაცხოვრებაც დიდად დააწინაურა. მის წარმატებულ ადამიანურ საზოგადოებრივობას ამშვენებდა დიდებული თამარ მეფის უფაქიზესი უფლებრივ-ზნეობრივი შემეცნება, რომლის საუკეთესო გამოხატულებად ერთის მხრით სიკვდილით დასჯისა და ყველა დამასახიჩრებელ სასჯელების ამოკვეთა უნდა ჩაითვალოს, მეორეს მხრით ღარიბ-ღატაკთა შესახებ სახელმწიფოს მზრუნველობა; ამათი ქონებრივი დახმარებისათვის საქართველოს სამეფოს მთელი შემოსავლის 10 პროც. იყო ხოლმე ყოველ წლიურად გადადებული.

ამავე ხანაში ქართული სამეცნიერო, საისტორიო და მხატვრული მწერლობაც უხვად გაიფურჩქნა. მეცნიერთა და ფილოსოფოსთა შორის ისეთი გამოჩენილი პირები ბრწყინავდენ, როგორიც იყვნენ იოანე პეტრიწი ნეოპლატონურობის მქადაგებელი მეცნიერი ფილოლოგოსი და კომენტატორი, ეფრემ მცირე, რომელიც იმავე დროს სამაგალითო მკვლევარი ისტორიკოსი იყო და არსენი იყალთოელი. ამ დროს შეიქმნა ქართული ორიგინალური საფილოსოფიო მწერლობაც. საისტორიო დარგში ისეთი შესანიშნავი თხზულებები იყო დაწერილი როგორიც ჩიკოლოზ კათოლიკოსის, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ისტორიკოსების ნაწარმოებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნების უაღრესი განვითარება, რომელმაც მუსიკაში ისეთ საფეხურებამდის მიაღწია, რომ სამუსიკო შემოქმედება ცალკე, საგანგებო დარგად იქცა. სიტყვების შეთხზვა და ჰანგის დაწერა იმ დროს უკვე ორი ერთიმეორისაგან განცალკევებული შემოქმედების დარგები იყო და როდესაც ჰსურდათ, რომ სიტყვებისთვის საგალობელი ჰანგიც ყოფილიყო შეთხზული და დაწერილი, მაშინ ამაში დახელოვნებული და ცნობილი პირებისათვის უნდა მიემართათ. მეთორმეტე საუკუნეში ვითარცა სასულიერო მუსიკის კომპოზიტორი იოანე კათალიკოზი ყოფილა განთქმული.

აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა შორის მხოლოდ ქართველებმა შესძლეს ასე ადრეულ—საშუალო საუკუნეებში მხატვრულ მწერლობის, საერო პოეზიის შექმნა: არც ბიზანტიელებს, არც სომხებს, არც ასურელებს მაშინ არაფერი ამის მსგავსი არ ჰქონდათ. სპარსულ მწერლობით აღფრთოვანებულმა ქართველებმა ჯერ მეთერთმეტე საუკუნის თარგმანებით და მიმბაძველობით დაიწყეს, შემდეგ სადარბაზო შესხმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის წერასა და ისტორიულ პოემების შეთხზვას შეუდგენ. თამარ მეფის დროს მხატვრულ პოეზიას საქართველოში უკვე რამოდენიმე ცალკე დარგები ჰქონდა და წარმომადგენლებიც ჰყავდა. ქართული იმდროინდელი საზოგადოების მაღალხარისხოვანი უაღრესი განვითარება და ფაქიზი გემოვნების წარმოსადგენად გამოჩენილი ქართული ვერსიფიქატორისა და მეხოტბის ჩახრუხაძის თხზულებებიც საკმარისია ადამიანმა რომ გადაიკითხოს. მაგრამ ქართული მხატრული შემოქმედების მშვენება გენიოს შოთა რუსთაველის განთქმული პოემაა «ვეფხის ტყაოსანი», რომელშიც ქალის რაინდული და პლატონური სიყვარულისა და თაყვანისცემის აღფრთოვანებული ქადაგებაა. გასაოცარი შემოქმედებითი აღმაფრენით გამსჭვალული ეს პოემა იმავე დროს ადამიანის და ცხოვრების დაკვირვების ისეთს ბრძნულ სიღრმეს შეიცავს, რომ შოთა რუსთაველს მარგალიტივით ასხმულ ლექსებში გამოთქმული მრავალი აზრები შემდეგ ხალხურ ანდაზებად იქცენ და ყოველ ქართველს შეთვისებული აქვს. «ვეფხის ტყაოსანის» ავტორი ქართულ სიტყვისა და ლექსის სწორუპოვარი ხელოვანი იყო. ამასთანავე მისი ლექსები ყოველთვის ავტორის აზრებისა იმდენად სრული, ძლიერი და მკაფიო გამოხატულებაა, რომ მთელი ნაწარმოები ქართულ პოეზიის შეუდარებელ, შთამომავლობისთვის სამაგალითო, მაგრამ მაინც მიუწდომელ განძად იქცა.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მყოფმა ქართველმა ერმა იმოდენი სულიერი და გონებრივი სიღრმე, სიფართოვე გამოიჩინა, რომ აღმოსავლეთის იმდროინდელი კულტურის საუკეთესო გამოხატულობის სპარსულ-არაბული მხატვრული მწერლობის შეთვისება და შეყვარება შესძლო. უაღრესად ქრისტესმოსავი ქართველი ერი სტკბებოდა სპარსულ-არაბულ ხელოვნების მშვენიერ შემოქმედებით, ისევე როგორც თვით მკვიდრი მაჰმადიანი სპარსელი და არაბი. იმავე დროს დასავლეთიდგან ბიზანტიური რენესანსის ცხოველმყოფელმა სიომ დაჰბერა, ძველი ბერძნული წარმართული ხანის საისტორიო, მხატვრული და საფილოსოფიო ძეგლების შესწავლა დაიწყო და ამ ნიადაგზე საქართველოში ელინურობა აღმოცენდა. ბიზანტიის ეს უმშვენიერესი მონაბერი მან არამც თუ შეითვისა, არამედ თვითონაც, თავის საუკეთესო შვილების პირით ამ მოძრაობის ნაყოფიერი მონაწილე გახდა. თავის სამშობლოში კი ეს მიმართულება აღმოსავლეთის გონებრივ საუნჯის ნაკადულით გააპოხიერა და გაამრავალფერადა. ამის წყალობით მან შეითვისა საბერძნეთიდან ის, რაც არც ერთს მაშინდელ აღმოსავლეთის მაჰმადიანის ერს შეთვისებული არა ჰქონდა, და შეძენილი ჰქონდა აღმოსავლეთისაგან ის, რაც მაშინდელ ბიზანტიას აკლდა: აღმოსავლეთის მრავალფერადი, მშვენიერი ხელოვნებისა და კულტურის განძეულობა. მაშინდელი განათლებული საბერძნეთი ისეთი დაუცხრომელი, ბრმა და მედიდური მძულვარებით იყო გამსჭვალული მაჰმადიანობისადმი, რომ მისი თვალი აღმოსავლეთის ისლამურს მშვენიერს კულტურასა და ხელოვნებას ვერ ხედავდა და სპარსეთის მომხიბლავ, მდიდარ პოეზიისთვისაც ყურები დახშული ჰქონდა.

ქართველობას არასდროს სარწმუნოებრივი მძულვარება ხასიათად არ ჰქონია. მისი მომთმენლობა ამ მხრით ყველა უცხოელ მწერალს აქვს აღნიშნული, როგორც ძველ დროსა, ისე შემდეგ საუკუნოებშიაც. არაბთა ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ მეფე დავით აღმაშენებელი, რომელიც ქრისტიანობისადმი განუსაზღვრელი ერთგულების მიუხედავად ყურანის ღრმა მცოდნე ყოფილა, ისე კარგად და ეგოდენის პატივისცემით ეპყრობოდა საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანებს, რომ თვით სამაჰმადიანო სახელმწიფოებშიაც კი ამგვარი მდგომარეობა სანატრელი იქნებოდა. მაგრამ ქართველთა სარწმუნოებრივ მომთმენლობის დამამტკიცებელ საუკეთესო საბუთად ისიც კმარა, თუ გავიხსენებთ, რომ თამარ მეფის დროის ერთ რთულ იურიდულ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც ორ სომეხთა მონასტერს შორის ატეხილმა დავამ წამოაყენა, საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ საგანგებო სამსაჯულოში თანასწორ-უფლებიან წევრებად მოწვეულნი იყვნენ როგორც ქართველთა ეკლესიის და სომეხთა ეკლესიის წარმომადგენელნი, ისევე გამოჩენილნი მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნი, ტფილისისა, ანისისა და დვინის ყადიები და შეიხები. ამაზე შორს წასვლა შეუძლებელი იყო.

ყველაფერი მომავალში საქართველოს უფრო მეტს გაძლიერებასა და დაწინაურებას უქადდა. საქართველოს სახელმწიფოს ძლევამოსილებისა და ბრწყინვალების ხმამ დასავლეთ ევროპამდისაც მიაღწია. რომის პაპმა საქართველოს მეფეს, დიდებულ თამარ მეფის შვილს ლაშა გიორგის ეპისტოლე გამოუგზავნა, რომელშიაც სთხოვდა მასაც საქართველოს სახელოვან ჯარითურთ ჯვაროსანთა ომში მონაწილეობა მიეღო. ჯაბუკ მეფის რაინდულ სულს დიდი ხანია თავისთავად ეს აზრი იზიდავდა, და როცა რომის პაპისაგანაც წერილი მოუვიდა, მაშინ მან თავისი დასტური და თანხმობა შეუთვალა და დაუყონებლივ ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მიღებისათვის სამზადისს შეუდგა. ამ აზრით გატაცებუბული ლაშა გიორგი გაცხარებულ მზადებაში იყო, რომ ერთმა სრულებით მოულოდნელმა გარემოებამ მთელი ეს გეგმა დაამსხვრია და საქართველო უუდიდეს განსაცდელში ჩააგდო.

დასავლეთ ევროპასთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ იმდროს, როდესაც ევროპის ხალხთა დიდ გადმოსახლების შემდგომ უკვე ადამიანთა მოძრაობის სტიქიური ძალა აღარ უხახავს, და მისი მყუდრო ცხოვრება და კულტურული განვითარება ამგვარ შემოსევის ტალღებს აღარ წაულეკავს, აღმოსავლეთი, განსაკუთრებით სპარსეთი, მცირე აზია და კავკასია საუკუნეთა განმავლობაში ამგვარი გამანადგურებელი სტიქიონის მსხვერპლი მრავალჯერ ყოფილა და ამის გამო მის სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრების განვითარების ბუნებრივი მიმდინარეობა არა ერთხელ შეწყვეტილა.

მონღოლთა შემოსევა, საქართველოს დაქვეითება და დანაწილების დაწყება.

1221 წ. მოულოდნელად საქართველოს სრულებით უცნობი ერის ლაშქარი შემოესია. ორგზით ბრძოლის შემდგომ იგი უკან გაბრუნდა. ეს იყო მონღოლთა პირველი შემოსევა საქართველოში, რომელსაც ათი წლის შემდგომ მეორე შემოსევა მოჰყვა. ამ ჟამად მათ საქართველოს მაგრად მოჰკიდეს ხელი და მისი აღმოსავლური ნაწილი ლიხის მთამდის მთლად დაიპყრეს. ვითარცა გაუნათლებელი ხალხი, რომელსაც მაშინ საკუთარი ანბანიც არ ჰქონდა, უბინადრო და საგვარეულო წესწყობილების პირველ საფეხურზე მდგომნი, მონღოლები მაშინდელ განათლებულ აღმოსავლეთს და საქართველოს მხოლოდ მოუხეშავ, გამანადგურებელ და დამაქვეითებელ ძალად მოევლინენ.

საქართველოში მაშინ სამეფო ტახტზე ლაშა გიორგის და რუსუდანი იჯდა. მონღოლების შემოსვლისათანავე იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქ შეაფარა თავი. მონღოლებმა 50,000 ოქრო იკმარეს ქართველებისაგან წლიურ ხარკად და ლაშქრის მიშველება ყველგან, სადაც მონღოლებს დასჭირდებოდათ. მეფე მონღოლებს არ ენდობოდა და სატახტო ქალაქში დაბრუნებას ვერ ჰბედავდა. თავის მხრივ ვაზირები და სხვა დიდი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში მეფესთან გადასვლას ვერ ახერხებდენ. ამის გამო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და საქმეები აიწეწა. ასეთ პირობებში რუსუდანმა სამეფო ტახტზე თავის შვილის დასმა არჩია და ტფილისში გამოგზავნა. მონღოლებმა ტახტის მემკვიდრე პატივისცემით მიიღეს და თავიანთ წესისაებრ ყაენთან გაგზავნეს ყარაყორუმში სადარბაზოდ და დასამტკიცებლად. რაკი ის დიდი ხნის განმავლობაში არც თვითონ დაბრუნებულა საქართველოში, არც რაიმე ამბავი მოსულა, ამიტომ საქართველოს მთავრობამ იფიქრა, რომ ტახტის მემკვიდრეს რამე ხიფათი შეემთხვა და მოკვდაო. აიღეს და ეხლა მეფე ლაშა გიორგის უკანონო შვილი აირჩიეს მეფედ. მონღოლებმა იგიც შესაფერი პატივისცემით ყაენთან გაისტუმრეს ყარაყორუმში. დიდ ხანს არც ამის შესახებ ისმოდა რამე. მეფე რუსუდანიც დარდისა და მწუხარებისაგან გადაიცვალა. საქართველო უმეფოდ დარჩა. ქვეყნის ისედაც რთული მდგომარეობა უფრო გაუარესდა. რაკი მონღოლებს მრავალცოლიანობა ჰქონდათ ადათად, ამიტომ მათთვის კანონიერი და უკანონო შვილი ერთი და იგივე იყო. ამასთანავე მონღოლთა სახელმწიფო სამართალი კერძო მეურნეობის თვალსაზრისს ჯერ არ გასცილებოდა და საყაენო ტახტზე იმდენი მოსაყდრე ადიოდა, რამდენი შვილიც დარჩებოდა განსვენებულ ყაენს, და ისინი იყოფდნენ საყაენოს თავის რაოდენობის შესატყვისად საუფლისწულოების მზგავსად. ამიტომ როდესაც მონღოლთა ყაენმა თავის ურდოში საქართველოს სახელმწიფოს ორი მემკვიდრე იხილა, მან უდავიდარაბოდ ორთავე მეფედ დაამტკიცა და საქართველოში გამოისტუმრა. თუ წინად საქართველო იძულებით უმეფოდ იყო დარჩენილი, ეხლა ერთის მაგიერ სამეფო ტახტზე ორი იჯდა და ორთავეს დავით ერქვა.

თანდათან, როცა მონღოლებმა მცირე აზიაში, სპარსეთში და საქართველოში ფეხი მოიმაგრეს, პირველ შეთანხმებისდამიუხედავად ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა დაიწყეს და ხარკი საშინლად გაადიდეს. რომ უფრო დანამდვილებით სცოდნოდათ, რამდენი მეომრის გაწვევა შეუძლიათ მათ ამა თუ იმ სახელმწიფოდგან მაშველად და რამდენი ხარკის მოკრება მოხერხდებოდა, იმას გარდა, რასაც ისინი იღებდნენ, მონღოლებმა მთელს თავის უზარმაზარ სახელმწიფოში ხალხისა და უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა მოახდინეს, რასაკვირველია თვითეულ მათ ბატონობის ქვეშ მოქცეულ სახელმწიფოთა მოხელეების საშუალებით. ამ 1254 წ. აღწერის შემდეგ მონღოლებმა საქართველოს მარტო ლაშქრობაში მაშველად ყოველწლიურად 90.000 მეომარი მოსთხოვეს. წინად გადაკვეთილ ხარკის მაგიერ მრავალი სხვადასხვა გადასახადი და სავაჭროზე ბაჟიც შემოიღეს. ამას გარდა თავიანთ მოხელეების სასარგებლოდაც სარგო დააწესეს და მონღოლთა შიკრიკებისა და მალე მსრბოლთათვის ქართველები ვალდებულნი იყვნენ ცხენებიც მიეცათ.

დავითმა რუსუდანის ძემ იმთავითვე მონღოლების ბატონობის და თვითნებობის ტვირთი ვერ აიტანა, მალე საქართველოს სატახტო ქალაქიდან დასავლეთ საქართველოში ჩუმად გადავიდა და ქუთაისში დამკვიდრდა სამუდამოდ. რაკი მონღოლებმა ლიხთიმერეთის დაპყრობა ვერ მოახერხეს, დასავლეთი საქართველო მონღოლთა მონობისაგან განთავისუფლებული იყო და ამის წყალობით სრული მყუდროება სუფევდა. მონღოლთა კერძოება ჯერ კიდევ უმეფობის დროს საქართველოსთვის იმდენად მძიმე და შემაძრწუნებელი იყო, რომ საქართველოს მმართველი წრეები აჯანყების მოწყობის მზადებას შეუდგნენ. მაგრამ მონღოლებმა შეიტყვეს, შეთქმულების ყველა მთავრები შეიპყრეს და ამის გამო საქმე ჩაიფუშა.

ახალი წესებისა და გადასახადების შემოღების შემდგომ ხომ უფრო გაჭირდა აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრება. 90.000 ქართველი ჯარისკაცის მონღოლთა დაუსრულებელ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, რომლის გამო ქართველ მხედრებს ხან სპარსეთში, ხან მცირე აზიაში, ხან ბაღდადის წინააღმდეგ, ხან ეგვიპტეშიაც-კი უხდებოდათ ომი და თავის განწირვა, სწორედ რომ გამანადგურებელი შეიქმნა ჩვენ სამშობლოსა და ერისთვის. თვით მეფეც იძულებული იყო მომეტებულ წილად ამის გამო საქართველოს გარეშე ყოფილიყო ხოლმე და უნებლიეთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მიეტოვებინა. ამის წყალობით საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება განსაკუთრებით რაკი მონღოლთა ნოინები და ხანები ზოგჯერ შინაურ საქმეებშიც ერეოდენ. შეირყა.

უძრავ ქონებაზე მონღოლთა მიერ დაწესებული გადასახადები იმდენად მძიმე იყო, რომ მამული ამ ტვირთს ვერ ასდიოდა და დიდ მემამულეებისათვის იმდენად საზარალო შეიქნა, რომ თითქმის ხარჯებს

ვერ ჰფარავდა. მრავალგვარ გადასახადების საშუალებით მონღოლებმა სასრუტივით ფული საქართველოს გამოსწოვეს. ჩვენ ქვეყანაში ფული ძალზე შემცირდა და ძნელი საშოვარი გახდა. ფული გაძვირდა, მიწას კი ფასი დაეკარგა და ამოძრავდა; ვალებით დატვირთული იგი ხელთაგან ხელში გადადიოდა. ამის გამო მიწის მფლობელნი, მეტადრე რასაკვირველია მსხვილი მესაკუთრენი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ და გაღარიბდენ. საქართველო დიდს ეკონომიურს განსაცდელში იყო. ხალხმა ვეღარ გაუძლო ხარკების სიმძიმეს და აუტანელ მდგომარეობიდგან თავის დაღწევაზე დაიწყო ფიქრი: მონღოლთა ოფიციალურ ცნობების მიხედვითაც მცხოვრებნი თვით საქართველოს ქალაქებიდგანაც კი იყრებოდენ და გარბოდენ. რამდენად გაკადნიერებულნი იყვნენ მონღოლები და როგორი სიმკაცრით მოქმედებდენ ისინი ჩვენს ქვეყანაში, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ თვით მეფესაც კი სავაჭრო ბაჟს ახდევინებდენ. ამოდენი შევიწროება და შეურაცხყოფა ვეღარც მეფე დავითმა ლაშა-გიორგის ძემ აიტანა და მონღოლებს ჯერ აუჯანყდა, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა, ისიც აიყარა და დასავლეთ საქართველოში შეიხიზნა და თავის მამიდაშვილთან მივიდა ქუთაისში. ამას სამეფოს მართვა გამგეობისა და სახელმწიფო საუფლის ორად გაყოფაც მოჰყვა. შედეგად ეს თუმცა თვით საქართველოს სახელმწიფო მთლიანობას არ ეხებოდა იმიტომ, რომ ქვეყანა კვლავინდებურად განუყოფელი რჩებოდა, მაგრამ უკვე მარტო ის გარემოება, რომ საქართველოში ორი მეფე იჯდა, რომელთაგან ერთი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა გამუდმებით და ტფილისში არ მოდიოდა, მეორეს კი აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა მუდმივი საჯდომი, რომელიც მონღოლთა ბატონობის წყალობით პოლიტიკურად ლიხთ იმერეთისაგან განსხვავდებოდა, ჩვენი ქვეყნის და ერის მთლიანობისათვის დიდს საფრთხეს წარმოადგენდა. ხოლო რაკი ორთავე მეფეს თავისი შთამომავლობა ჰყავდა, რომელიც ამ ორ მეფიანობის მდგომარეობას აგრძელებდა, ცხადი იყო, რომ შემდეგში, ცოტაოდნად მაინც ხელშემწყობ პირობებში ორ მეფიანობა საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულსა და ერთობის სამარედ უნდა ქცეულიყო.

მონღოლებმა ისე ფეხქვეშ გათელეს საქართველოს მეფის ღირსება, რომ როდესაც მათს ყაენს ეჭვი შეეპარა, ვითომც მეფე დიმიტრი მე-II მის მოწინააღმდეგე ნოინების თანამოაზრე და შეთქმულების მონაწილე ყოფილიყოს, თავისთან დაიბარა განსაკითხავად. თუმცა საქართველოს მეფეს შეეძლო თავისთვის ეშველა, ყაინს არ მიჰნებებოდა და მიუვალ მთებში შეხიზნულიყო, მაგრამ რაკი მან იცოდა, რომ ყაენი ამისთვის შურს იძიებდა, საქართველოს მაგიერს გადაუხდიდა და უდანაშაულო ხალხს დახოცავდა, დიმიტრი მე-II-ემ ისევ თავისი თავის განსაცდელში ჩაგდება ირჩია და ყაენთან წავიდა. მეფის ეჭვი გამართლდა: ყაენის ბრძანებით მას 1289 წელს თავი მოჰკვეთეს. ამ შეგნებული თავგანწირულობით მეფემ ქართველი და საქართველო აუცილებელ განადგურებისაგან იხსნა და ამის გამო ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანათ შერაცხა, თვით ერმა და შთამომავლობამ კი მოწიწებით «თავდადებული» უწოდა.

ამგვარად მონღოლთა ბატონობამ საქართველოს მთლიანობის დარღვევას ნიადაგი მოუმზადა. სახელმწიფო წეს-წყობილება და ეკონომიური კეთილდღეობა დაარღვია. მოსახლეობის იმდენად თვალსაჩინო შემცირება გამოიწვია, რომ მეცამეტე საუკუნის დასასრულს ზოგან მცხოვრებნი აღარ იყვნენ და მას შემდგომ მტკვრისა და ალაზნის შესართავის ადგილები გაოხრებული დარჩა. ხალხის კულტურული ვითარება ისე დაქვეითდა, რომ მონღოლთა მიმბაძველობით, საქართველოს უმაღლეს წრეებში ორ და სამ-ცოლიანობამაც კი იჩინა თავი. ასეთს განსაცდელში მყოფს ქართველ ერს მაინც სულითა და ზნეობითაც ეგოდენ ძლიერნი პიროვნებანი ჰყავდა, როგორიც იყვნენ კათოლიკოზნი ნიკოლოზ და აბრაამ, რომელნიც გაბედულად ებრძოდენ ამ გვარს ზნეობა დაცემულობას, და ისეთი განთქმული მქადაგებელი როგორიც პიმენ გარესჯელი იყო, რომელმაც დაღესტანში ქრისტიანობა გაავრცელა და ლეკვები გააქრისტიანა.

მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს მონღოლთა უზარმაზარმა სახელმწიფომ თავისი დღენი დალია: ნოინთა ურთიერთ შორისმა ქიშპობამ და ბრძოლამ ძალა გამოაცალა და დაამხო. საბედნიეროდ საქართველოშიც, მაშინ სამეფო ტახტზე ისეთი ძლიერი ხელმწიფე და შესანიშნავი მოღვაწე იჯდა, როგორიც გიორგი მე-V ბრწყინვალე იყო, რომელსაც პირად მამაცობასა და სამხედრო ნიჭთან ერთად დიდი პოლიტიკური შორს—გამსჭვრეტელობა და სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნიჭი ჰქონდა. მან მონღოლთა დაქსაქსულობა ისარგებლა, დაამარცხა და სრულებით განდევნა აღმოსავლეთ საქართველოდგან. ამასთანავე მან კავკასიის ზოგიერთ მთიელთა ქურდული თავდასხმა ძირიან-ფესვიანად მოსპო. დასასრულ მონღოლთა ბატონობის დროს გალაღებული და მეფის ურჩობას მიჩვეული მაღალი მოხელეობა ალაგმა და თავის ქერქში ჩააყენა. მაგრამ გიორგი ბრწყინვალის უუდიდესი ღვაწლი იმაში მდგომარეობდა რომ მონღოლთა წყალობით დარღვეული საქართველოს ერთობა მან წინანდებურად აღადგინა და სახელმწიფოს საზღვარი აღმოსავლეთით კვლავ კასპიის ზღვამდე მიიყვანა.

როდესაც საქართველოს აღდგენას და გაძლიერებას მორჩა, გიორგი ბრწყინვალე შინაურ აღმაშენებლობას შეუდგა. ქართველ მთიელთა სოციალურ და უფლებრივ ვითარების გასაუმჯობესებლად მან საგანგებო საკანონმდებლო კრება მოიწვია და მათ ცხოვრების შესაფერისი სამართლის წიგნი შეადგენინა. მონღოლთაგან დაშლილი სახელმწიფო წეს-წყობილების აღსადგენადაც შესატყვისი ძეგლი შეჰქმნა. ამ ხანაში გონებრივადაც ქართველობას აღორძინება დაეტყო და ქართველ მწერლობას სხვათა შორის ისეთი შესანიშნავი საისტორიო ძეგლი შეეძინა, როგორიც ქართველ ჟამთა აღმწერელის დიდი თხზულება არის.

უცხოეთის მიმოხილვა.

იაპონია-ჩინეთის კონფლიქტი.

შორეულ ალმოსავლეთში, დიდ და წყნარ ოკეანეზედ სრულიად არა წყნარი და საყურადღებო ამბები ხდება. წინა ნომერში ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ იაპონია სარგებლობს ევროპა-ამერიკის კრიზისს თავის ძალიან დიდი ხნის ზრახვების განხორციელებლათ მანჯურიაში, ჩინეთის ამ უმდიდრეს და უდიდეს პროვინციაში. ამ უკანასკნელმაც მისცა მას საბაბი და მიზეზი ამისათვის. განუწყვეტელი არევ-დარევა, გენერლების ქიშპობა, მათი ჯარების ბანდებად ქცევა და მშვიდობიან ხალხის შეწუხება არ იყო, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იაპონიის ინტერესებისათვის. ნუ დაივიწყებთ, მანჯურიაში ბინადრობენ ასი ათასობით იაპონელნი, მათ შორის დიდი მრეწველნი და ვაჭარნი, იაპონიამ იქ ჩაყარა მრავალი მილიარდი ოქრო, უჭირავს პირველი ადგილი ამ დარგებში, დაწყებული რკ. გზებით და გათავებული მადნების ექსპლუატაციით. ცხადია ასეთ დიდ ინტერესებს ის ვერ დასტოვებდა უმფარველოთ, თუ გინდ ამისთვის ხმლის ამოღებაც დასჭირვებოდა ქარქაშიდან.

მეორე მხრით, მოსკოვიც ხომ თავისას შვრებოდა მდგომარეობის გასამწვავებლათ. მისი კომინტერნი არ იქნებოდა თავის სიმაღლეზედ, რომ ცეცხლისთვის ნავთი არ დაესხა, რასაკვირველია, «მსოფლიო რევოლიუციის» გასაჩაღებლათ. მაგრამ კიდევ ადრე, ერთ წელზე მეტია, რაც მოსკოვი ლამობს დიდ ფაქტორად იქცეს მთელს ჩინეთში! თქვენ იცით, მის მიერ შეიარაღებული ჯარები ებრძვიან ნანკინის ნაციონალურ მთავრობას. ჩან კაი შეკი განუწყვეტლივ ბრძოლებშია ამ ჯარებთან. დაობენ კიდეც იმაზე, ვის უჭირავს მეტი ტერიტორია, ნანკინს თუ კანტონს, რომელსაც უკვე ჰყავს თავისი მთავრობა და სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას ეწევა.

საინტერესოა მხოლოდ, რა პოზიცია უჭირავს მოსკოვს ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში. არავითარი, თუ გარეგნულათ შეხედავთ საგანს. მართლაც, აგერ ორი თვეა, კონფლიქტი გრძელდება და მოსკოვისაგან არაფერი ისმის, ჩამი-ჩუმიც არაა, ასე გეგონებათ, თევზივით წყალი დაგუბებია პირში, ვერ აღებსო. გასულ ნომერში ჩვენ ესეც გავითვალისწინეთ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ მოსკოვს საიდუმლო შეთანხმება აქვს იაპონიასთანთქო. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ ეს ასეა, უეჭველათ. მან მისცა გარანტია იაპონიას ხმა არ ამოიღოს, გადაყლაპოს, თუ მისი მონაწილეობა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზედ უდაო დარჩება. ამ პირობას კი მისცემდა მას იაპონია. ესეც ცხადია, რადგანც ჯერ მას სჭირია ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა და თვით მხარეც თავისთვის დაიმკვიდროს. მხოლოდ ამის შემდეგ დაისმის მისთვის კითხვა ჩრდილოეთ მანჯურიის მისაკუთრებისა და რუსების იქიდან გაბრძანებისა.

მაგრამ ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ ისევ კონფლიქტს. იაპონიამ ჯარი შეიყვანა მანჯურიაში, დაიკავა მუკდენი, გირინი და სხვა ადგილები. მაშინ სწორეთ ქენევაში ერთა ლიგის წლიური ყრილობა მუშაობდა. რასაკვირველია, ეს ისარგებლა ჩინეთის დელეგატმა და კითხვა საბჭოში დააყენა. ის მოითხოვდა ჩარევას ომის ასაცილებლათ. გაიმართა ბჭობა და ბოლოს ერთი რეზოლუცია მიიღეს ჩინეთის და იაპონიის დელეგატების დასტურით, რომ ორივე ქვეყანა მშვიდობიანათ მოაგვარებდენ კონფლიქტს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, იაპონიამ გაიყვანა ჯარი ზოგ ადგილებიდან, ხოლო მთლათ არ დასცალა პროვინცია, იყო შეტაკებები, აეროპლანებით დაბა-სოფლების დაზარალება და სხ. ჩინეთის რეგულიარული ნაწილები თავს არიდებდენ იაპონიის ნაწილებს, სამაგიეროთ არარეგულიარული «ბანდები» იბრძოდენ, სცარცვავდენ მშვიდობიან ხალხს, მათ შორის იაპონლებს. ამას გარდა, გამწარებული ჩინელები ბოიკოტს უცხადებენ იაპონიის საქონელს და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ერთა ლიგა, ამ უკანასკნელათ ისედაც შესუსტებული მისი პრესტიჟი მთლათ დაცემის პირზე იყო. საბჭო იძულებული შეიქნა ისევ შეყრილიყო ქენევაში და, ბრიანის თავმჯდომარეობით, მთელ ორი კვირა ეცადა ველოდა საქმეს. რაში იყო სიძნელე? პირველი ფორმალური: საბჭომ სთხოვა კიდევ სეკტემბერში, თვით იაპონიის დელეგატის თანხმობით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ახლო მონაწილეობა მიეღო კონფლიქტის ჩაქრობამი. ამერიკამ სიხარულით მიიღო წინადადება, მით უფრო, შინაური კრიზისით მოკავებულს მას დრო არ ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთში დიდი აქტივობა გამოეჩინა. მაგრამ რაში უნდა გამოხმატულიყო მისი მონაწილეობა? ის არ არის ერთა ლიგის წევრი, არც უნდა იყოს. საბჭოში კი არამც თუ მონაწილეობა, მეთვალყურეობაც არაა ნაგულისხმევი, პაქტის ძალით, არა წევრისა. საბჭოს სურდა და კიდეც მისწერა ამერიკას დაენიშნა კაცი მის სხდომებზედ დასასწრებლათ «ინფორმაციისათვისო», რაიცა კიდეც შეასრულა ამერიკამ. იაპონიის დელეგატი ამას წინააღუდგა, ლიგის ფაქტი ამის ნებას არ გაძლევთო.

ეს ფორმალური კონფლიქტი იმითაა საინტერესო, რომ ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორიცაა ამერიკა, რომლის წინაშე ქედს იხრიან ყველა სახელმწიფოები, იაპონიამ კარის მიხურვა დაუპირა! რაშია საქმე? სწორეთ აქ გამომჟღვანდა ის დიდი და საეპოქო ქიშპობა, რომელიც არსებობს ამერიკასა და იაპონიას შორის «პასიფიკზედ» ბატონობისთვის. საკმარისი იყო ერთი ნაკვერჩხალი და ისეთი ამბავი დატრიალდებოდა, მანჯურია არავის გაახსენდებოდა. ამიტომ ბრიანის როლი ქენევაში ერთხელ კიდევ შესანიშნავი გახდა. მის მოქნილ დიპლომატიას მიეწერება, აგრეთვე პირდაპირ მოლაპარაკებას ვაშინგტონსა და ტოკიოს შორის, რომ ამერიკის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა საბჭოში, და ემყარებოდა არა ლიგის, არამედ კელოგ-ბრიანის პაკტს, რომელზედაც, სხვათა შორის, ხელი მოწერილი ჰქონდათ როგორც ჩინეთს, ისე იაპონიას.

მაგრამ არსებითი სიძნელე კიდევ უფრო უარესი იყო, მისი ამოწურვა ვერ მოახერხა საბჭომ. მოკლეთ საქმე შემდეგშია. ჩინეთი მოითხოვდა ევაკუაციას, შემდეგ მოლაპარაკებას იაპონიასთან; უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაუკმო: ჯერ მოლაპარაკება, მერე ევაკუაციაო. ბრჩხილები რომ გავხსნათ, შემდეგ სურათს დავინახავთ: ჩინეთს ეშინია უშუალოთ ლაპარაკის იაპონიასთან, რადგან ეს წინათაც სწარმოებდა მათ შორის, ამიტომ იმედი არ აქვს, რომ კარგათ გათავდება მისთვის და მაშინ ოკუპაციაც დაპყრობად იქცევა. ამიტომ მას უნდა ერთა ლიგის ზურგი მოიპოვოს, თქვენ გადასწყვიტეთ, მე წინდაწინ ხელს გიწერთო —ეუბნება ის მას. იაპონიას სწორეთ ეგ არ სურს, უნდა მარტო ჩაიგდოს ხელში ჩინეთი და ოკუპაციის წყალობით ის მიაღებინოს, რაცა სწადია. ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ის ამერიკის ჩარევასაც.

იყო მეორე საფეხურიც საბჭოს ცდაში. იაპონიას ათქმევინეს ბოლოსდაბოლოს, რომ მას არა აქვს ტერიტორიალური მიზნები მანჯურიაში, არის ანარქია, ჩემი მოქალაქენი და მათი ქონება განსაცდელშია, მომცეს გარანტია ჩინეთმა, რომ წესიერებას დაიცავს, ბოიკოტს მოხსნის, და მხოლოდ მაშინ გავიყვან ჯარსო. ეს კი მართლაც საფუძვლიანი მოთხოვნა იყო, წესიერების დამყარებაში სხვა სახელმწიფოებიც დაინტერესებულია. არ ავიწყდებათ, რომ გვერდით საბჭოებია მთელი მათი დამნგრევი აპარატებით. გამოსავალი ვერ ჰპოვეს, საბჭომ თავის თავმჯდომარეს ბრიანს მიანდო, გაშოენახა იგი. ამანაც ქნა, ქნა და ბოლოს რეზოლიუციის პროექტი წარადგინა, რომელიც არც მწვადს სწვავს და არც შამფურს, როგორც იტყვიან. იაპონიამ ჯარები უნდა გაიყვანოს 16 ნოემბრამდე—თარიღი საბჭოს ხელახლათ მოწვევისა. ხოლო ჩინეთმა მანამდე უნდა ელაპარაკოს იაპონიასო. უკანასკნელი წინააღმდეგია ვადის, რადგან არ ვიცით, ამ დროისათვის აღსდგება თუ არა წესრიგი მანჯურიაშიო. ჩინეთი კი უპასუხებს, წესრიგს როგორ აღვადგენ, თვითონ შენ მიშლი ხელსო, ბოიკოტი როგორ მოვხსნა, როცა შენი ჯარები იქაა და ხალხიც ამისთვის ღელავსო. ბოლოს ჩინეთი მაინც იღებს რეზოლიუციას, იაპონია კი არ უერთდება მას. პაქტის ძალით კი საჭიროა ერთხმად მიღება. ამ რიგათ, საბჭომ ვერ დააბოლოვა საქმე, მაგრამ მაინც შესძლო მშვიდობიანი კილოს შეტანა დავაში. ის კიდევ შეიკრიბება 16 ნოემბ. და ეს გარემოება ერთგვარი გაფრთხილებაა მხარეთათვის.

ერთი ამბავიც, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა ექნება, თუ განხორციელდა. ჩინეთის განსაცდელმა ჩააფიქრა ნანკინის და კანტონის მთავრობები, გამართეს შანჰაიში მოლაპარაკება და მორიგდენ კიდეც. ჩინეთში მორიგებას არ აქვს საბოლოო ხასიათი, როგორც ამას ეს ოცი წლის ამბები ამტკიცებენ, მეორე დღეს იწყებენ ბრძოლებს, ჩნდებიან გენერლები, «ქვეყნის მხსნელნი» და ასე დაუსრულებლივ. ყოველ შემთხვევაში, ჩინეთმა სხვა დადებითი მხარეებიც გვაჩვენა: ის უმაგრდება დიდ სახელმწიფ. თავისუფალ ჯირითს თავის ტერიტორიაზედ, ერთის მხრით, და მოსკოვის პროპაგანდას სიტყვით და ფულით, მეორეს მხრით. ქვეყანა უზარმაზარია, ხალხი უთვალავი, უნდა გვიკვირდეს, რომ მთლათ არ დაემხო და არ დანაწილდა. ვინ იცის, იქნება შანჰაის შეთანხმება ის უკანასკნელი აქტია, რომელიც შეაძლებინებს იაპონიას და ჩინეთს გამონახონ საერთო ენა.

საქართველოდან იტყობინებიან

სვანეთში აჯანყება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რაიონულ კომიტეტის თავმჯდომარე სვანიძე ასი შეიარაღებული კომუნისტით გადაუდგა ტფილისის მართებლობას და მიემხრო პარტიზანებს. ეს ნაწილობრივი მოძრაობა გადაიქცა მთელი კუთხის სახალხო აჯანყებად. სვანების წინააღმდეგ გაგზავნეს წითელარმიელთა ორი პოლკი. მაგრამ ამ ჟამად მთებში მოქმედება მეტად ძნელია, სვანები თავგანწირულად იბრძვიან და ჩაკეტეს ყველა გზები.

ამასთან ერთად დაიწყო მოძრაობა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. ბორჩალოს მაზრაში მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, კვლავ იფეთქა გამოსვლებმა და მებრძოლთა წინაამდეგ ჩეკის ახალი რაზმები გაგზავნეს.

ჭიათურაში მას შემდეგ, რაც იქ პარტიზანებმა პოლიტიკური ტუსაღები გაანთავისუფლეს, ჩეკისტთა სამეული გაგზავნეს ბაგრატიონის მეთაურობით, რომელიც განთქმულია თავის სასტიკობით და სიმხეცით. ეს სამეული მუშაობს ჭიათურასა, ზესტაფონში და სხ. და მრავალ ხალხს უპირებს გადასახლებას ციმბირში.

საქართველოს ამბები

(ქურნალ-გაზეთებიდან)

ამიერ-კავკასიის 227 საბჭოთა მეურნეობიდან მხოლოდ 80 საბჭოთა მეურნეობაში არის პარტუჯრედი. არსებობს ისეთი საბჭოთა მეურნეობანიც, სადაც სრულიად არ არიან კომუნისტები და კომკავშირელები.

— მუშებისთვის ივნისის და ივლისის ხელფასი არ მიუცია. სურსათ-სანოვაგის და ტანსაცმელ-ფეხსაცმელის მხრივ დიდი გაჭირვებაა. წყვილი ფეხსაცმელი იყიდება 35-40 მან., წყვილი ქვედა საცვალი 22 მან., გალოში—17 მან. 60 კოპ., მაშინ როდესაც მუშის თვიური საშვალო ხელფასი უდრის 64 მან.

— ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაზზე გახშირდა ორთქლმავლების მოშლის შემთხვევები. რასაც ნამდვილი საბოტაჟის ხასიათი აქვს. აგვისტოში ასეთმა შემთხვევებმა პირდაპირ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. მაგალითად: 1 აგვისტოს გაფუჭდა 8 ორთქმავალი, 2 აგვისტოს—7, 3 აგვისტოს—7, 4 აგვისტოს—8, 5 აგვისტოს—9, 6 აგვისტოს—7 და სხვა...

— უკანასკნელ ხანებში გახშირდა მინდვრათ ცეცხლის შემთხვევები. იწვის სალეწი მანქანები და პურის ძნები (ლაგოდეხი, შირაქი, საქობო).

— კერძო გამომცემლობა «ქართული წიგნი» ბოლშევიკური ხელისუფლების დადგენილებით დაიხურა და მთელი მისი ქონება გადაეცა სახელგამს.

ქართველები გერმანიაში

მოკლე ხანში მოხდება საზოგადოების გამგეობის არჩევნები. ძველი გამგეობა აგერ ორი წელიწადია მუშაობს. ამ გამგეობის მოხსენებიდან, რომლითაც იგი საზოგადოებ კრებას წარუდგება, სხვათა შორის სჩანს, რომ მიუხედავათ მრავალ ხელშემშლელ პირობებისა, მაგ. კულტურულ მუშაობაში მას ხაბიჯი გადაუდგამს. გამგეობის ხაზგასმული მისწრაფება ყოფილა მეტი კავშირის გაბმა მეზობელ და თანამებრძოლ ერების კოლონიებთან: ადერბეიჯანელებთან, სომხებთან, უკრაინელებთან, თურქესტანელებთან და სხვ. მიზანია:—დაახლოვება, ერთი მეორის წარსულისა და ამწყოს შესწავლა, გაცნობა.

ამ მიზნით გამგეობას მოუწყვია მოხსენებები: აზერბეიჯანელების: რასულ-ზადეს და ხილალ-მუშნის «ამიერ-კავკასიის მომავალი», «აზერბაიჯანის წარსული, აწმყო, მომავალი»; უკრაინელების: პროფ. დოროშენკოს—«უკრაინის ისტორია უძველეს დროიდან დღევანდლამდე» (2 მოხსენება), პრ. ზენო კუზელას—«უკრაინის ეთნოგრაფია». განძრახულია მოხსენებები: თურქესტანზე, თათარისტანზე, გერმანიის კონსტიტუციაზე და სხვ.

გერმანიაში მყოფ ქართველებში ბევრია უმუშევარი, მაგრამ ამ დალოცვილ ქვეყანაში მისი სამაგალითო კანონმდებლობით, მიუხედევათ საშინელი კრიზისისა, ამ უმუშევრობას ისე მწვავედ ვერ ვგრძნობთ. ყველას, ვინც უმუშევარია, ამა თუ იმ სახით დახმარება ეძლევა. ბევრი არ არის ეს დახმარება, მაგრამ იმდენი კია, რომ მომჭირნე ადამიანმა თავი შეინახოს და სასოწარკვეთილებას არ მიეცეს. დაუვიწყარია ის დახმარება, რომელსაც გერმანია ჩვენ ემიგრაციას უწევს: არავითარ განსხვავებას ამ მხრივ გერმანელსა და ქართველ შორის ადგილი არა აქვს. მუშაობის შოვნა აქ ძნელია, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ვისაც უმუშავნია, მისთვის დახმარებაც უზრუნველყოფილია. ეს განსაკუთრებით იმ ქართველებს ეხება, რომელნიც ადლერსჰოფში (ბერლინის ეთთ-ერთი ნაწილთაგანია) ქალაქის ბარაკებში სცხოვრობენ. (იმავე ბარაკებში სცხოვრობენ უკრაინელი სტუდენტები). დიდ ყურადღებას აქცევს აქ ქართველების ცხოვრებას ტრეპტოვის (ბერლინის მე 15-ე უბნის ცენტრი) თვითმართველობა ყველაფერში... ამას წინათ მან უმუშევართათვის ქალაქ გარეთ გემით გასეირნება მოაწყო,—რასაკვირველია უფასოდ. ქართველების დასაპატიჟებლად თვითმართველობიდან სპეციალურად ჩვენი მეგობარი ბ-ნი შვარცლოზე მოვიდა ბილეთებით. და ასე ყოველთვის:—არ გვივიწყებენ,—პირიქით! შევსძლებთ კი ოდესმე ამ პატივისცემის გადახდას?!.. ჩვენ თუ ვერ შევსძლებთ, საქართველო ამ პატივისცემას გერმანიას არ დაუვიწყებს.

მანი.

ქართული წარმოდგენა პარიზში

პარიზში არსებულ ქართულ დრამატიული წრის მიერ ნოემბრის თვის უკანასკნელ შაბათს წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა ღ ა ლ ა ტ ი.

იმედია პარიზის ქართველობა დიდის თანაგრძნობით შეხვდება ამ განზრახვას. ქართული წარმოდგენა მეტად იშვიათი მოვლენაა ემიგრაციაში და განსაკუთრებით ისეთი პიესისა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის დიდს აღფრთოვანებას იწვევდა. წარმოდგენა მოგვცემს საშუალებას კვლავ ერთხელ განვიცადოთ ძვირფასი გრძნობები მამულის ღრმა სიყვარულის და მისი განსათავისუფლებელი ბრძოლისა. ყველა ქართველი უნდა დაესწროს «ღალატის» წარმოდგენას და მით დაეხმაროს წრეს აუცილებელი ხარჯების ასანაზღაურებლად და ზნეობრივადაც გაამხნევოს და წაახალისოს იგი მუშაობის გასაგრძნობად. ეს მეორე წარმოდგენა იქნება დრამატიული წრის; პირველი იყო «პატარა კახი», რომელიც ჩინებულად იყო ჩატარებული და დამსწრე საზოგადოებაც სრულიად კმაყოფილი დარჩა.

დაისტამბა და იყიდება

ხელოვნებისა და მეცნიერების კრებული:

„კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი"

(წიგნი მეექვსე)

ფასი 10 ფრ.

შემდეგი შინაარსისა:

გ. გამყრელიძე—ვრცელი ქალაქი.
,, დამშვიდობება.
რალფი—დედ-მამა.
გიორგი ყიფიანი—ფერადი სურათები.
,, ქარხანაში.
დ. ყურულიშვილი—ფიქრები საქართველოზე.
. * .—ფიქრები ორი ამბაზი ემიგრანტის.
ა. ქეიბური—ჩემი ცხოვრების დღე.
გიორგი ჟურული—«ნატვრის თვალი».
შ. ამირეჯიბი—უბნობანი ურგებნი თორნიკესნი.
გ. ა. უტეხელი—მწერლობის მეგობრისადმი.
ისახარ—დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში.
დ. საღირაშვილი—სპარსეთის რევოლუცია.
ვ. ემუხვარი—მასალები ფულ-პოლიტ. სტუდიის.
ედ. პაპავა—აღწერები ძველ საქართველოში.
რ. არსენიძე—ბიბ. შენიშვ. ვ. ტყაოსნის საკ. შესახებ
ლ. კვარაცხელია—ერთი წიგნის გამო.
ვ. ნოზაძე—ქართული სახლი.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

V. NOZADZÉ
15, Chemin du Reposoir 15.
Paris (14)

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.